სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

თორნიკე პეტრემღვდლიშვილი

ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ისტორიიდან (1991-2002 წწ.)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ოთარ ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში პოზიტიური როლი მიუძღვის. იგი ქვეყანაში დღესაც ერთ-ერთი ძლიერ საზოგადოებრივ ინსტიტუტად რჩება.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოჩნდეს ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ხასიათი და მისი განმაპირობებელი ფაქტორები ისტორიულად და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა რეალობაში. ქრონოლოგიური ჩარჩო 1991-2002 წლებს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან კონკორდატის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

თემა მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო პრობლემა, მაგრამ საქართველოში დღეს მიდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, მას აქვს ასევე დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა და ინტერესიც.

ტექსტი შეიცავს ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავალს, შვიდ პარაგრაფად დაყოფილ სამ თავსა და დასკვნას, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

ნაშრომი გამოქვეყნებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, დაფუძნებულია ჩემს მიერ ზეპირი ისტორიების მეთოდით შეკრებილ ახალ მასალაზე, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და პრობლემის განსხვავებული პერსპექტივიდან განხილვის საშუალებას იძლევა.

ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელი წარსულში და დღეს განსხვავებულია, მისი ცვლა განპირობებული იყო, როგორც კონკრეტული ეპოქებით, ისე სახელმწიფოს ფორმითა თუ ბუნებით.

Petremgvdlishvili T. From the history of relations between the Georgian state and the church (1991-2002)

Annotation

The Georgian Orthodox Church plays a positive role in the life of the Georgian people and state. It remains one of the strongest public institutions in the country today.

The character of the master's thesis is to show the nature of the relationship between the Georgian state and the church and its benevolent factors historically and especially in the Post-Soviet reality. Chronological framework covers the period 1991- 2002- the period from the restoration of Georgia's state independence to the concordat.

The topic is important as a scientific problem, but given the socio-political processes taking place in Georgia today, it also has a great social impact and interest.

The text contains an annotation (in Georgian and English), an introduction, three chapters divided into seven paragraphs and a conclusion, which is accompanied by a bibliography.

Beside the published sources and scientific literature, the work is based on the material I have compiled through the method of oral histories, which first enters the scientific circulation and allows the problem to be discussed from a different perspective.

The model of the relationship between the Georgian state and the church is different in the past and today, its change was conditioned by specific epochs, as well as by the form or nature of the state.

შინაარსი

ანოტაცია…….....
Annotation…….....
შესავალი……..... 5

I თავი: ეკლესიის ისტორიული როლისა და ადგილისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ……..... 8
1.1. ეკლესია ქართულ მონარქიულ სახელმწიფოში…… **8**
1.2. ეკლესია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში……..... **21**

II თავი: საქართველოს ეკლესია საბჭოთა პერიოდში……..... 29
2.1.საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველო ეკლესია..... **29**
2.2 საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 80 - იან წლებში..... **37**

III თავი: ეკლესია და სახელმწიფო საქართველოსდამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში…….. 48
ა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისპერიოდში..... **48**
ბ. კონკორდატი - კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის..... **60**
გ. ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში..... **74**
დასკვნა ……..... 82

გამოყენებული ლიტერატურა..... 87

შესავალი

საკითხის აქტუალობა: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში, ასევე თვალსაჩინოა მისი როლი ქართველი ერის იდენტობის შენარჩუნების საქმეში. ეკლესიასა და პირადად კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს საზოგადოების მაღალი ნდობა ჰქონდათ ისტორიის განსახილველ მონაკვეთშიც. ეს იყო წლები, როდესაც საქართველომ ხელახლა აღიდგინა დამოუკიდებლობა, მაგრამ სუვერენული სახელმწიფოსაკენ მიმავალი გზა სირთულეებით სავსე გამოდგა. სხვადასხვა გარემოებით, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტით გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევაში მოსახლეობას ისევ ეკლესია ეიმედებოდა. ეკლესიამ განსახილველ ათწლეულშიც ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში პოზიტიური როლი შეასრულა. ამდენად, თემა მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო პრობლემა, მაგრამ მას აქვს ასევე დიდი საზოგადოებრივიდატვირთვა და ინტერესიც. ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია საქართველოს ისტორიული წარსულითა და ქვეყანაში დღეს მიდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებითაც.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, რაც საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზას დაადგა, ეკლესია სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ ორგანიზაციად და საჯარო პოლიტიკის აქტორად მიიჩნევა.

კვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოჩნდეს ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ხასიათი და მისი განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული და დამთავრებული კონკორდატის გაფორმების ჩათვლით. ქრონოლოგიურად ეს მონაკვეთი 1991-2002 წლებს მოიცავს, თუმცა თემის უკეთ გასააზრებლად საჭიროდ მივიჩნევ, პრობლემა ისტორიულ ჭრილშიც განვიხილო და ვაჩვენო ამ ურთიერთობის ძირითადი ტენდენციები და მათი ცვლა დინამიკაში, რაც განპირობებული იყო, როგორც კონკრეტული ეპოქით, ისე სახელმწიფოს ფორმითა თუ ბუნებით.

კვლევის მეთოდები: პრობლემა შესწავლილია ისტორიზმის პრინციპით, - საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ისტორიული განვითარების კვალდაკვალ ნაშრომში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ნაჩვენებია მისი ევოლუციის, დროსა და სივრცეში ცვლილებათა პროცესში. კვლევა ასევე დაფუძნებულია ქრონოლოგიურ, ისტორიულ-შედარებით მეთოდებსა და ფაქტობრივი მასალის კრიტიკულ გააზრებაზე. გამოყენებულია ზეპირი ისტორიის მეთოდიც, რომელიც ავტორის მიერ ინტერვიუების საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა და ავსებს წერილობითი წყაროების სიმცირით გამოწვეულ ხარვეზს.

იმის გათვალისწინებით, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ქართული საზოგადოებისათვის მეტად მგრძნობიარე თემაა, მასზე წერა რთულია და დიდად საპასუხისმგებლოც. ამიტომ საკითხის ერთი რომელიმე მხარის პოზიციიდან გაშუქება პრობლემას მთელი სისავსით ვერ ასახავს. ნაშრომში მოცემულია თემის სხვადასხვა პოზიციიდან განხილვის ცდა.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა: ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას შეადგენს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, საქართველოს პირველი და მეორე პრეზიდენტების - ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ოფიციალურ გამოსვლათა ტექსტები და ინტერვიუები, სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება, პერიოდული პრესის მასალები და ზეპირი ისტორიების მეთოდით მოპოვებული ინფორმაცია.

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას დახმარება გაგვიწია სერგო ვარდოსანიძის, ქეთევან პავლიაშვილის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნებმა, რომლებიც საქართველოს ეკლესის ისტორიასა და ეკლესიის ცალკეულ მეთაურთა მოღვაწეობის შესწავლას ეძღვნება; ვსარგებლობ აკაკი აბზიანიძის, დიმიტრი გეგენავასა, ლაშა დეისაძე-შერვაშიძის, ლელა გიორგაძის, ნინო პოკლებას, ეკა სილაგაძის, მიხეილ ქართველიშვილისა და ს. კესკინის სადისერტაციო გამოკვლევებით, სხვა ქართველ მკვლევართა ნაშრომებით და უცხოელ ავტორთა ს. სერანოს, ვ. ისტვუდის, ა. აიდინგიუნის პუბლიკაციებით და სხვ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მკვლევართა მიდგომას ორგვარი დამოკიდებულება ახასიათებს. ერთის მხრივ, აკადემიური სფეროს წარმომადგენელ ავტორთა პუბლიკაციებში შეიმჩნევა ეკლესიისა და მისი საჭისმპყრობლისადმი ერთგვარი მოკრძალება და პიეტიტი, ხოლო მეორეს მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების საგრანტო პროექტებით განხორციელებულ კვლევებში თვალშისაცემია კათოლიკოს-პატრიარქისა და ზოგადად ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის ტენდენციური კრიტიკა და მათი მარგინალიზაციის ცდები.

ნაშრომის სიახლე: ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ისტორიაში 1991-2002 წლების მონაკვეთი მუდმივად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და იგი ობიექტურად შესწავლილი არ არის. თანადროულ პერიოდში საკითხი პოლიტიკით იყო გაჯერებული და მისი მეცნიერული კვლევა ვერც იწარმოებოდა. ახლა, როდესაც განსახილველი პერიოდიდან საკმაო დრო გავიდა, პრობლემის მიუდგომლად გაშუქების მეტი შესაძლებლობა არსებობს. სამაგისტრო ნაშრომის სიახლეა თემის ისტორიულ ჭრილში განხილვა და ასევე, რესპონდენტების (ძირითადა სასულიერო პირების) გამოკითხვის გზით მიღებული მასალის გამოყენება, რამაც შესაძლებელი გახადა თემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და გააზრება.

I თავი: ეკლესიის ისტორიული როლისა და ადგილისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში

1.1. ეკლესია ქართულ მონარქიულ სახელმწიფოში

ქრისტიანობა ერთ-ერთი უძველესი მონოთეისტური რელიგიაა, რომელიც საქართველოში მოციქულთა დროიდანვე ვრცელდებოდა, მაგრამ IV საუკუნის პირველ მესამედში, წმინდა ნინოს ღვაწლით, ქართლში (იბერიის) ხელახლა აღორძინდა, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოშიც გავრცელდა და ორივეგან სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

საისტორიო ტრადიციით („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სხვ.), ქართლის მეფე მირიანმა იესო ქრისტეს ძალა თხოთის მთაზე მომხდარი სასწაულის შედეგად ირწმუნა და ქრისტიანად მოექცა, მაგრამ ახალი სარწმუნოების სახელმწიფო რანგში ამაღლება, სავარაუდოდ, სხვა - გარე და შიდა ფაქტორებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას მირიანს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ მისი ქვეყანა კარგა ხნის განმავლობაში რომაულ ორბიტაში იყო მოქცეული და ქართლი რომთან პოლიტიკურის გარდა, მჭიდრო კულტურული კონტაქტებითაც იყო დაკავშირებული. მეფის გადაწყვეტილება იმავდროულად იყო პოლიტიკური არჩევანიც ორ დაპირისპირებულ სამყაროს - აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მაზდეანური ირანის ნაცვლად ქრისტიანული რომის არჩევა, დასავლეთზე (რომზე) პოლიტიკურ ორიენტაციასაც ნიშნავდა.[1] საქართველოს დასავლური კურსი დღემდე ქვეყნის ტრატეგიულ მიმართულებად რჩება.

იმის გარდა, რომ მირიან მეფის დროს უკვე არსებობდა რომის იმპერიის გამოცდილება, გონიერ ქართველ მონარქს ქრისტიანობისათვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებაში ქვეყნის კონსოლიდაციის, ასევე, სამეფო ხელისუფლების მიმართ ქვეშევრდომთა ლოიალობის განმამტკიცებელი საშუალებაც უნდა დაენახა. ეს ასეც მოხდა და ქრისტიანული რელიგია შემდეგში მართლაც გახდა სახელმწიფოებრივი განვითარებისა და ქართული ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი საფუძველი.

---

[1] *ჯანელიძე ო.* ქართული იდენტობა და პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი, ჟურნ. „ანალები“, 2015, #11,გვ. 90.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქვეყნის საერო ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავდა ახალი აღმსარებლობისა და მისი ეკლესიის ორგანიზებაზე.

დადგინდა მღვდელმსახურთა ხარისხები და ეკლესია იერარქიულად ჩამოყალიბდა თავისი დიაკვნებით, მღვდლებით, ეპისკოპოსებით, მთავარეპისკოპოსით, კათოლიკოსითა (V საუკუნიდან) და კათოლიკოს-პატრიარქით (XI საუკუნიდან). შექმნა რელიგიური კულტი და რიტუალი. ეკლესიასაც გაუჩნდა თავისი აზნაურები და ყმები, მამული, მოურავები, საგადასახადო სისტემა, საკუთრება, ქონება. სიმონ ჯანაშიას სიტყვებით: „ქრისტიანულ ორგანიზაციას, ქრისტიანების კრებულს, ბერძნული სიტყვით „ეკლესიით“ აღნიშნავდნენ. ...რაკი ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გადაიქცა, ქართლის ეკლესიამაც ისეთივე წყობილება მიიიღო, როგორიც ჰქონდა თვით ქართლის სამეფოს. ასე ხდებოდა სხვა ქვეყნებშიც, საერისთავოების საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდნენ ქართლის ანუ მცხეთის მთავარეპისკოპოსს. ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდნენ ხუცები ანუ მღვდლები“.[1]

ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი კომუნიკაციური ფუნქცია ადამიანის ღმერთთან დაკავშირებით ვლინდება. საეკლესიო მსახურებასთან ერთად, ეკლესიას გააჩნდა უფრო მიწიერი ფუნქციები და კომპეტენციებიც: ბავშვთა დაბადების აღრიცხვა, ნათლობა, ჯვრისწერა, ქორწინება, ზიარება, წესის აგება და სხვ.

მღვდელმსახურთა განსაკუთრებული ფუნქცია იყო მათი მონაწილეობა მეფის კურთხევაში, რომელიც ეკლესიაში აღესრულებოდა. შემოსილი სამღვდელოება („დასნი სამღვდელონი“)ტაძართან მიეგებებოდა მეფეს, რომელსაც კათოლიკოსი მიმართავდა: „კურთხეულ არს მოსვლა თქვენი და დამკვიდრება მეფეთა მეფედ სამეფოსა ამასა თქვენსა“. კათოლიკოსი მოჰკიდებდა მეფეს ხელს მარჯვნივ და დააყენებდა ეკლესიაში სამეფო ადგილას, შემდეგ კი სცხებდა მირონს დაპორფირსა და გვირგვინს დაადგამდა

[1] *ჯანაშია ს.* შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 74.

თავზე.[1] „მეფის კურთხევა-დაგვირგვინების ცერემონიაში“ პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი რელიგია და პოლიტიკის ერთმანეთში ჩაქსოვას ხედავდა.[2]

დროთა განმავლობაში ეკლესიები და მონასტრები იქცნენ წიგნიერების გავრცელების, განათლების მნიშვნელოვან კერებად. ამ მხრივ გამორჩეულია ოპიზის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი კლარჯეთში, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა სამონასტრო ცხოვრებისა და ქართული მწიგნობრობის ისტორიაში. სხვადასხვა პერიოდში აქ მოღვაწეობდნენ: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი, ათანასე ოპიზელი, ილარიონ ოპიზარი; ოქრომჭედლები ბეშქენ და ბექა ოპიზრები და სხვები. ასევე კლარჯეთში მდებარეობდა შატბერდი („დიდებულ ლავრა“), სადაც მოღვაწეობდნენ იოანე-ზოსიმე, მიქაელ მოდრეკილი და გიორგი მთაწმინდელი. აქ შეიქმნა ჰადიშის, ჯრუჭისა და პარხალის ოთხთავები, შატბერდის კრებული და ა.შ.

XI-XII საუკუნეებში, თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ძლიერების პერიოდში, საქართველოში - გელათსა და იყალთოში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სკოლები - აკადემიები ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ გელათის აკადემიის ხელმძღვანელი, რექტორი, მოძღვართ-მოძღვრად იწოდებოდა და „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით სახელმწიფოში მას განსაკუთრებული პატივი მიეგებოდა.

სასულიერო მწერლობისა და, ზოგადად, მეცნიერული აზრის განვითარებას ემსახურებოდნენ ქართველთა მიერ საზღვარგარეთ შექმნილი ეკლესია-მონასტრებიც. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო იყო ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანე შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ჯვრის მონასტერი პალესტინაში და პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში. მარტო შავ მთაზე ქართველებს 13 ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ: სვიმეონწმიდა, რომანწმიდა, კალიპოსი, კასტანა,

---

[1]სვანეთში, მაცხვარიშის ეკლესიის ფრესკაზე გამოსახულია დემეტრე მეფე, რომელსაც წარწერის თანახმად, „ხრმალსა აბმენ დავითის საერისთავნი“. მეფეს გვირგვინს ანგელოზი ადგამს, ხოლო კურთხევით, ქრისტე - აკურთხებს.

[2]*ხახანაშვილი ა.* ქართველ მეფეთა ტიტული, კურთხევა და რეგალიები, ქუთაისი, 1993, გვ. 5-6; 14.

ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი და სხვ.[1] ეს სასულიერო და მწიგნობრობის ქართული კერები აკავშირებდნენ საქართველოს ეკლესიას გარე სამყაროსთან.ეკლესია-მონასტრებში ქართველი სწავლულები ქმნიდნენ ორიგინალურ თხზულებებს, საეკლესიო-რელიგიურის გარდა, სხვადასხვა ენიდან თარგმნიდნენ ფილოსოფიურ ლიტერატურას, ხდებოდა ხელნაწერთა გადაწერა, შემკობა-შემოსვა და სხვ.

ქართულ მონარქიულ სახელმწიფოში სოციალურ წესრიგს სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა განსაზღვრავდა. სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობითი მოდელი ტრადიციული გახდა და გაუძლო დროის გამოცდას.

ქართული საისტორიო წყაროების თანახმად, ეკლესიის თავის, ეპისკოპოსის „დასმის“ ან „დადგენის“ უფლება მეფის პრეროგატივა იყო.[2] საეკლესიო კანონის შესაბამისად, ადგილობრივი ეპისკოპოსები თავიანთ კრებაზე ირჩევდნენ ეკლესიის მეთაურს - მთავარეპისკოპოსს, რომელსაც ამ თანამდებობაზე მეფე „სვამდა“ (ამტკიცებდა). ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაპყრობილ საქართველოში ეკლესიის წინამძღოლი დამპყრობელ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთ დაუნიშნავთ. მაგალითად, V საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლი სპარსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო, ადგილობრივი ეკლესიის საჭეთმპყრობელი ირანის შაჰის მიერ ინიშნებოდა.[3]

მეფის ხელისუფლების ძლიერების პირობებში ეკლესია ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში საკუთარი წვლილიც შეჰქონდა. სახელმწიფოს დასუსტებისას კი, როცა გაძლიერებას ცენტრიდანული ძალები იწყებდნენ, ხშირად ეკლესიაც მათ შორის აღმოჩნდებოდა. ასე იყო მაგალითად, V საუკუნეში, როდესაც მიწისმფლობელი ფეოდალების ბრძოლა ცენტრისაგან დამოუკიდებლობის მისაღწევად მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ეკლესიაც მეფის ხელისუფლებას დაუპირისპირდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან უკვე მაშინ და განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში ქართული სასულიერო ზედაფენა, როგორც

---

[1]*მენაბდე ლ.* ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 161-162; ასევე, *მამისთვალიშვილი ე.* საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბ., 2015, გვ. 313.
[2]„ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 137; 145.
[3]*მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე,* საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, თბ., 2012, გვ. 255-256; 316-317.

წესი, ადგილობრივ არისტოკრატიას წარმოადგენდა. „ამ დროისათვის, სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ეკლესიაც უდიდეს მიწათმფლობელად გადაიქცა და ისეთივე ინტერესები გაუჩნდა, როგორც სხვა მიწათმფლობელებს“.[1] ეს დეზინტეგრაციული მოძრაობა, რომელსაც მაშინ სპარსეთი ახალისებდა, ქართლში მეფობის გაუქმებით დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ პირველ საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონის მიხედვით, ქვეყნის დედაქალაქის ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში იყო ყველა სხვა ეპისკოპოსი. დედაქალაქის რომიდან კონსტანტინოპოლში გადატანამ გამოიწვია უკმაყოფილება და დაპირისპირება მღვდელმთავრებს შორის. თავდაპირველად უპირატესობა ენიჭებოდა რომის ეკლესიას, მაგრამ მოგვიანებით ქრისტიანობა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ მიმდინარეობებად გაითიშა, ხოლო 1054 წელს სქიზმის შედეგად, ერთიანი ეკლესია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებად გაიყო.[2]

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ თემს წარმოადგენდა ბიზანტია. ხოლო ბიზანტიის დაცემის შემდგომ 1453 წელს აღმოსავლეთ ეკლესიის ცენტრი გახდა რუსეთი. რუსეთში ეკლესია მთლიანად დაქვემდებარებული იყო სახელმწიფოზე და მის სამართალზე.

რაც შეეხება საქართველოს, ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ საქართველოში ქრისტიანების დევნა არ განხორციელებულა და, როგორც ცნობილია, ის სახელმწიფო რელიგიად მალევე გამოცხადდა. საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენდა ინსტიტუტს, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა სახელმწიფოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. ქართველი ერისათვის მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია იქცა ეროვნების იდენტიფიკაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. [3]

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა IV საუკუნეში ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის განვითარებაში,

---

[1] ჯანაშია ნ. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 32.

[2] *კერულარიოსი მ.* რომისა და ბიზანტიის ურთიერთობანი X-XI საუკუნეებში. http://martlmadidebloba.ge/eklesiis_istoria_66.html[უკანასკნელად გადამოწმდა 20. 05. 2021].

[3] *გეგენავა დ.* სადოქტორო ნაშრომი: კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართელბრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბ., 2016, გვ. 32.

თავდაცვისადა ზნეობრივ ნორმათა ჩამოყალიბების საქმეში, მისი და ქართული სახელმწიფოს ურთიერთობა ყოველთვის არ ყოფილა ჰარმონიული. მაგალითად ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, იმდენად გამწვავდა დაპირისპირება მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის, რომ მეფე იძულებული შეიქმნა კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებისათვის მიემართა, რათა მათ რათა მიქაელი საქართველოდან გაეწვიათ. მეფის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, რის შემდგომაც მან განახორციელა საეკლესიო რეფორმები. დაწესდა კათალიკოსობა. „კათალიკოსობის დაწესებით, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იძენდა მღბდელმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა“.[1] მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საქართველოს ეკლესია გახდა დამოუკიდებელი და აღარ იმყოფებოდა სხვა ავტოკეფალური ეკლესიის დაქვემდებარებაში.

ეკლესია საქართველოში საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სახელმწიფოს ერთ-ერთ მძლავრ ინსტიტუტს, რომელიც გავლენას ახდენდა ერის კულტურულ და სულიერ განვითარებაზე. სახელმწიფოს მმართველი მეფეები დიდად აფასებდნენ მღვდელმთავრის მოსაზრებას და ხშირად კონკრეტული გადაწყვეტილებები მათთან აუდიენციისა და საუბრის შემდგომ მიიღებოდა.[2] „მეფენი დიდ ანგარიშს უწევდნენ ეკლესიას, მის მწყემსთავარს და საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებანი ხშირად დამოკიდებული იყო ეკლესიის პირველი პირის თანხმობა-ართანხმობაზე“.[3] ცნობილია, რომ ზოგიერთი ქართველი მღვდელმთავარი სულაც სამეფო ოჯახის წევრი იყო. მაგალითად, დომენტი IV, ანტონ I და ანტონ II. აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი IV, ერისკაცობაში დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი, ქართლის გამგებლის (ჯანიშინის) ლევან ბაგრატიონის შვილი და ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა იყო; აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ერისკაცობაში თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის ძმის, ქართლის მეფე იესეს ვაჟი, ვიდრე ბერად აღიკვეცებოდა, სამეფო ტახტის პრედენტენტიც იყო;

---

[1] *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე,* საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, თბ., 2012, გვ. 274.
[2] *გოილაძე ვ.* ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ.,1991, გვ. 16.
[3] http://www.ambioni.ge/saxelmwifo-da-eklesia [უკანასკნელად გადამოწმდა 07. 04. 2021].

აღმოსავლეთ საქართველოს ბოლო კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II კი, იგივე თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე II-ის ძე იყო.

მონარქიულ სახელმწიფოში არსებული კანონის თანახმად, კათალიკოსის სისხლი მეფის, ერისმთავრის სისხლის თანაბარი იყო. ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის მიხედვით (§ 25), მეფე „ხორცის ხელმწიფეა“, კათოლიკოსი კი - სულის. მათ „კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცისაგანცა სწორე აქვსთ”.

კათოლიკოსს ჰყავდა საკუთარი ჯარი, რომლიც სამეფო დომენის სადროშოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, თუმცა ეკლესია მაინც ცალკე ერთეულად განიხილებოდა. ეკლესია და სამეფო სისტემურ მთლიანობად დავით აღმაშენებლის მეფობისას იქცნენ.[1]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიის მიხედვით, ეკლესია და სახელმწიფო ერთ ორგანიზმს წარმოადგენდენ, არაერთი ფაქტი მოიძებნება, რომლებიც ეკლესიისა და სახელმწიფოს დაპირისპირებასს ცხადყოფს.

ზემოთ ვახტანგ გორგასლისა და მთავარეპისკოპოსის მიქაელის მაგალითი დავიმოწმეთ. არანაკლებ რთული ვითარება შეიქმნა ქვეყანაში დავით IV აღმაშენებლის გამეფებისას. ახალგაზრდა მონარქის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალებს გვერდში ამოუდგა ეკლესიაც, რომელიც მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვანთა თავშესაფრად და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად იქცა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, ეკლესიას დაეუფლნენ „ქუაბ ავაზაკნი“, რომლებიც „მამულობით“, ე. ი. გვარიშვილობით დაეპატრონნენ ეპისკოპოსთა თანამდებობებს. „მამულობით“ ეკლესიის თანამდებობათა დამპყრობნი წარჩინებულთა წრეს განეკუთვნებოდნენ და მხარს უჭერდნენ ფეოდალებს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მდგომარეობის გამოსასწორებლად, 1103 წელს, საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებლმა ცნობილი რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია და მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა განახორციელა. კრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ეპისკოპოსები, მღვდლები, მონაზვნები, დიაკვნები, ბერები და სწავლულები,

---

[1] *ჯოხაძე ა.* სიკვდილი ბიზანტიურად, წიგნში - საზოგადოება და პოლიტიკა, თბ., 2002, გვ. 177.

მოწოდებული იყო ეკლესიის წიაღში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, უღირსი სასულიერო პირების განსაკვეთად და ეკლესიის სახელმწიფოს სამსახურში ჩადგომის უზრუნველსაყოფად. ეკლესიას მონაწილეობა უნდა მიეღო და დიდი როლი უნდა შეესრულებინა ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლობაში. კრებაზე მიღებულ იქნა დადგენილებები, რომელიც უნდა ქცეულიყო საეკლესიო კანონად. დაგმობილ იქნა მცირე ასაკში ქორწინება, ეკლესიის ქონების უმიზნოდ ხარჯვა. სახელმწიფომ ერთგვარი შეტევა განახორციელა არაკეთილსინდისიერ სასულიერო პირებზე, უღირსი მღვდელმთავრები თანამდებობებს ჩამოაშორა და სხვ.

რუის-ურბნისის კრების შემდგომ ქართული ეკლესია ჩადგა სახელმწიფოს სამსახურში და ის აქტიურად იღებდა მონაწილეობას ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლობაში. თავის მხრივ ეს იყო ერთგვარი რეპრესია ეკლესიის მიმართ, მაგრამ ამით მხოლოდ გაძლიერდა ეკლესია და შემდგომში მისი როლიც გაიზარდა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ცნობილია, რომ თავად დავითი IV ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. მისი გატარებული რეფორმის შედეგად ეკლესია გახდა სახელმწიფოში წამყვანი რგოლი, რომელიც ზრუნავდა ხალხის ზნეობისა და მორალის ამაღლებაზე, მონაწილეობდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა მუდმივად იცვლებოდა და სხვადასხვა სახის გამოხატულებას ჰპოვებდა მონაქიულ სახელმწიფოში. ეს დამოკიდებული იყო სამეფოს კარის სიძლიერესა და სისუსტეზე. მას შემდგომ რაც თამარ მეფე ავიდა ტახტზე, დიდგვაროვნები მაშინვე შეეცადნენ უპირატესი მმართველის ძალის მიტაცებას, ვაჭრებისა და ხელოსნების საზოგადოება მოითხოვდა კარავის შემოღებას და მეფის უფლებების შეზღუდვას, სამეფო კარს აქტიურად შეუტია ეკლესიამაც.

თამარის მეფობის დასაწყისში კათოლიკოსმა მიქაელმა სამეფოს პირველი ვაზირის - მწიგნობართუხუცესის სახელოც „მოევერაგა“, ეკლესიის საჭეთმპყრობელი ქვეყნის ფაქტობრივი საჭეთმპყრობელი და მეფეზე მეტად უფლებამოსილი გახდა. თამარმა მიქაელის კათოლიკოსის თანამდებობიდან გადასაყენებლად საეკლესიო კრებაც კი მოიწვია, მაგრამ ვერას გახდა. როგორც მემატიანე წერს: „ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ეკლესიის მეთაურის ხელში

მოქცევითმდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. „ახლა უკვე ეკლესიას ეძლეოდა საშუალება სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა გაეკონტროლებინა, ახლა მეფის უფლებები აღმოჩნდა შეზღუდული“.[1]

საქართველოს ეკლესიის ისტორიას ამშვენებს არაერთი ღირსეული სასულიერო მოღვაწის თავდადება თავისი ერისა და სამშობლოს დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი სახელია საბა მტბევარი. XI საუკუნეში, ბიზანტიის მძლავრობის დროს, როდესაც ამ ქვეყანამ მიიტაცა სპერი, ბასიანი, იმიერ ტაო და დანარჩენ საქართველოსაც დაპყრობით ემუქრებოდა, როდესაც ტაო-კლარჯეთის აზნაურები ბიზანტიის იმპერატორის მხარეს გადადიოდნენ, „მატიანე ქართლისაი“-ს ანონიმი ავტორის ცნობით, „საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან,... ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა მავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის. პატივ-სცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა“.

ეპისკოპოსი საბა მტბევარი არა მარტო სიტყვის და დარწმუნების ძალით, არამედ ხმლითაც დადგა ქართული სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე. „საბა მტბევარმა - ამ ...ჯვრითა და ხმლით მებრძოლმა ეპისკოპოსმა შექმნა ერთგვარი ფენომენი, მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი საეკლესიო მოღვაწე განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალზე უჭირს სულიერად და ფიზიკურად ქვეყანას, როცა მძლავრობს უზნეობა მთელ ერში და უმძიმესი პრობლემებია დასაძლევი ეკლესიაში“.[2]

საყოველთაოდაა ცნობილი მღვდელი თევდორე კველთელი. 1609 წელს მან ქართლში შემოჭრილი ოსმალთა ჯარი სხვა მიმართულებით გაიტყუა, გზას აცდინა და დააშორა იგი ცხირეთის ციხეში მდგომ ლუარსაბ II-ის ბანაკს. მტერმა ამისათვის სასულიერო პირი სიცოცხლეს წამებით გამოასალმა, მაგრამ ნისმა თავგანწირვამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, მეფეს საშუალება მიეცა მტერს მომზადებული დახვედროდა.

ცნობილია ასევე, რომ 1625 წელს, ბრძოლის ველზე, მარაბდაში დაიღუპნენ ეპისკოპოსები რუსთაველი და ხარჭაშნელი. გადმოცემით, ხარჭაშნელ ეპისკოპოსს, რომელიც მტერს ხმლით ხელში ებრძოდა, სხეულიდან ოცზე მეტი ისარი ამოუღეს.

---

[1] *ჭელიძე ვ.* ქართლის ცხოვრების ქრონიკები, III-IV, თბ., 1984, გვ. 274.

[2] *შუბითიძე ვ.* საბა მტბევარის ფენომენი. https://for.ge/view/49382/saba-mtbevaris-fenomeni.html [უკანასკნელად გადამოწმდა 17.06. 2021].

უინტერესო არ იქნება კიდევ ერთი ნაკლებად გახმაურებული ფაქტის დამოწმებაც, რომელიც მოჰყავს მკვლევარ ი. ალიმბარაშვილს: 1791 წელს, შემოდგომით, დავით გარეჯის მონასტერს თავს 30 ლეკი დასხმია. ამ დროს მცველები არ ყოფილან ადგილზე. მონასტერში მცხოვრებ ბერებს თავად დაუცავთ მონასტერი და თოფები უსვრიათ.[1]

ეკლესია ქვეყანაში სულიერების, მორალისა და ზნეობრიობის მცველად გამოდიოდა. ამ ნიადაგზე ყოფილა შემთხვევა, როდესაც ეკლესია თვით მეფესაც კი დაპირისპირებია. მაგალითად, მან არ დართო ნება ლაშა გიორგის დაქორწინებულიყო გათხოვილ ქალზე, თუმცა მონღოლთაგან დაპყრობილ საქართველოში ეკლესია წინ ვეღარ აღუდგა დემეტრე II-ს, რომელსაც სამი ცოლი ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ღვთის სამეფოს მოქალაქეებისთვის მთავარი მიზანი ჭეშმარიტი სიყვარულით სავსე მარადისობაა და არა ამსოფლიური კეთილდღეობა“,[2] დროთა განმავლობაში ეკლესიაშიც მძლავრობდა მიწიერი სიკეთეებისაკენ სწრაფვა. დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ ეკლესიაშიც ფეხს იკიდებდა სხვადასხვა მანკიერება, რაც ჩრდილს ფენდა და ავტორიტეტს ულახავდა ამ ტრადიციულ ინსტიტუტს. 1632 წლიდან მოყოლებული ქართლში გამაჰმადიანებული მეფეების თითქმის საუკუნოვანმა მმართველობამ საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი მდგომარეობაც დიდად შელახა. სერიოზული საფრთხე შეექმნა თვითონ ეკლესიასა და ქრისტიანობასაც. ქართველი მემატიანე დაუფარავად წერს: ,,და იცვალებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოველთა უწესობითა. ...შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა-მრუშება, ტყვილი, ხორცთა განსვენება”. კიდევ უფრო სამწუხარო იყო, რომ ამ მანკერებამ სასულიერო წოდებაც ჩაითრია და ,,მღვდელ-მთავარნიცა ჰყოფდნენ უჯეროთა”.[3]

მაგრამ ეკლესიამ შეძლო თავი თავში მოენახა ძალა და დაბრუნებოდა ტრადიციულ ცხოვრების წესს. როდესაც 1714 წელს ქართლში სპარსოფილობით გამორჩეული იესე

---

[1]*ალიმბარაშვილი ს.* ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის დაცვაში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიური ცენტრის შრომათა კრებული, 2013, N 4. გვ. 17.

[2]ილია მეორე, 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლე.

[3]*ჯანელიძე ო.* ქართული იდენტობა და პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი, ჟურნ. „ანალები“, 2015, #11,გვ. 94-95.

გამეფდა, მისმა უგვანო საქციელმა, მრავალ-ცოლიანობამ, განცხრომის მოყვარულობამ, არაეკლესიურმა და არაეთიკურმა ქმედებებმა ქართული სამღვდელოების აღშფოთება გამოიწვია. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, იესე „ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოზთა".[1]

სასულიერო პირები არც თუ იშვიათად ჩართული იყვნენ ქართული სახელმწიფოს დიპლომატიურ სამსახურში. ცალკეულ მეფეებსა თუ მთავრებს არაერთი მღვდელმთავრისათვის მიუნდია დიპლომატიური მისია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, თეიმურაზ I-ის დავალებით, მისი კარის მოძღვარი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირბახი 1625 წელს დიპლომატიური მისიით გაიგზავნა ევროპაში; 1752 წელს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ თბილისის მიტროპოლიტი ათანასე თბილელის ელჩობა რუსეთში მიავლინეს და სხვ.

საქართველოს ისტორიაში ცნობილია პერიოდი, როდესაც მეფენი ქართლისა „ჟამთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ" და „ხელმწიფის ყეენის" ნება დართვით ადიოდნენ ტახტზედ, მაგრამ ეკლესია და მისი საჭეთმპყრობლის სტატუსი მტერთა შემოსევების პირობებშიც კი დიდად არასოდეს დამცრობილა, ვიდრე საქართველოს რუსეთის იმპერია დაიპყრობდა და სახელმწიფოებრიობასთან ერთად ეკლესიის ავტოკეფალიასაც ბოლოს არ მოუღებდა.

საქართველოს ეკლესია ხალხის და სახელმწიფოს ერთიანობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა საქართველოს გაერთიანების ფორმულა, რომ საქართველოა ყველგან, სადაც ქართულად წირავდნენ და ლოცულობდნენ („ქართულითა ენითა ჟამი შეიწირებოდა და ლოცვა ყოველი აღესრულებოდა"). ქართველია იყო ის, ვინც ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა. ეს ვითარება კი განსაზღვრული იყო სამეფო დინასტიისა და ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით, რასაც ზოგიერთი მკვლევარი პოლიტიკური თეოლოგიის გამოვლინებადაც მიიჩნევს.[2] ცნობილია, რომ ეკლესიის წიაღშივე გაჩნდა ტერმინი

[1]დომენტი IV, კათალიკოსი. https://qim.ge/domenti%20IV.html [უკანასკნელად გადამოწმდა 10. 02. 2021].
[2]https://st4.ning.com/topology/rest/1.0/file/get/2064169817?profile=original [უკანასკნელად გადამოწმდა 09. 06. 2021].

„საქართველოც“, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად VIII საუკუნეში, ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ში დასტურდება.[1]

საქართველოს ეკლესია იბრძოდა ქვეყნის განუყოფლობისა და ერთიანობის შესანარჩუნებლად მას შემდეგაც კი, რაც ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია სამ სამეფოდ და უფრო მეტ სამთავროდ დაიშალა, მაგრამ სეპარატიზმმა, სამწუხაროდ, ეკლესიის წიაღშიც იჩინა თავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კათოლიკოს-პატრიარქის დავითი IV-ის ბრძოლა სამცხის ათაბაგების ყვარყვარე II-სა და მზეჭაბუკის მცდელობების წინააღმდეგ, გამოეყოთ ადგილობრივი ეკლესია საქართველოს ეკლესიისაგან. სამწუხაროდ, ეს ცდა საბოლოოდ მარცხით დასრულდა, „სამშობლოსაგან გამოყოფილ მესხეთში ქრისტიანობა ჩაკვდა“. ყოფილი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა ახალციხის საფაშოდ გადააქცია, რასაც ქართველი მოსახლეობის გამუსლიმება, ამ რეგიონში ოსმალური წესებისა და კანონების დანერგვა, ეკლესია-მონასტრების ძარცვა და გაუქმება მოჰყვა.

XV საუკუნიდან დამოუკიდებელი გახდა აფხაზეთის საკათალიკოსოც, რომლის მეთაური „აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად“ იწოდებოდა.

მონარქიულ საქართველოში ეკლესიას უამრავი მიწა ჰქონდა, ისევე როგორც დეოდალებს, თუმცა ეკლესიის მიწებზე ყმების ექსპლოატაცია და სისატიკე არ ხდებობა, როგორც ეს თავად-აზნაურების მიწებზე იყო მიღებული. გარდა ამისა საეკლესიო თანამდებობებიარ გადადიოდა მემკვიდრეობით.

გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საქართველოში უმეტესწილად ჰარმონიული ურთიერთობა სუფევდა. უცხოელი დამპყრობლების შემოსევებისას ეკლესია და სახელმწიფო ხშირად ერთიანდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად. ეკლესიის მობილიზებითა და ჩართულობით ხორციელდებოდა მოსახლეობის შეკრება გადამწყვეტი ბრძოლების დროს. ქართული ეკლესიის როლი განუზომელი და ფასდაუდებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვაში. მრავალი საუკუნის განმავლობაში დიდწილად სწორედ მან განაპირობა ისტორიის, ენის და ქვეყნის ტერიტორიების შენარჩუნება.

[1] *ჯუანშერი*, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2012, გვ. 191.

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია წარმოადგენდა განათლების, ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის მამოძრავებელ ძალას.

ყოველივე ზემოაღნიშნულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ მონარქიულ ქართულ სახელმწიფოში სახელმწიფოსა და ეკლესიას, საერთო ეროვნული და სოციალური მიზნების გარდა, ბედიცა და უბედობაც არსებითად საერთო ჰქონდათ. თუ ერთს უჭირდა, დალხენილი არც მეორე ყოფილა. ერთმანეთსა და ქვეყანას ყოველთვის მათი წარმატებული თანამშრომლობა აძლიერებდა.

მოიძიებული და შესწავლილი ისტორიული წყაროების და სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე, დასკვნის სახით შესაძლოა აღინიშნოს, რომ ეკლესია ქართულ მონარქიულ სახელმწიფოში წარმოადგენდა ძლიერ სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოსთან; ეკლესია არსებითად, მხარში ედგა და ავსებდა საერო პოლიტიკური ხელისუფლების ძალისხმევას ქვეყნის გაძლიერებისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში.

1.2. ეკლესია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

1811-1814 წლებში ცარისტული რუსეთის მიერ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მხოლოდ 1917 წელს მოხერხდა. ეს რუსეთში განვითარებულმა რიგმა მოვლენამ განაპირობა: 1. გაჭიანურებულმა მსოფლიო ომმა, რომელმაც რუსეთის იმპერიაში მძიმე სოციალურ - ეკონომიკური ფონი შექმნა და 2. ამის შედეგი - მეფის მთავრობის დახმობა და ხელისუფლებაში დროებითი მთავრობის მოსვლა (1917 წლის თებერვლის რევოლუცია).

შექმნილი ვითარებით ისარგებლა საქართველოს ეკლესიამ და 1917 წლის 12 მარტს (ახალი სტილით 25 მარტს) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა. „ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოს შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაᲘ“, [1] - ეწერა ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ 1917 წლის 12 მარტს (25) წაკითხულ დამოუკიდებლობის აქტში.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის (1918 წლის 26 მაისი) აღდგენას წინ საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის განახლება უძღოდა. თითქოს ეკლესია მოექცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის სათავეში და მისგან უნდა დაწყებულიყო ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა. იქნებ ამის გამოც იყო, რომ საქართველოს ეკლესია აქტიურად ცდილობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევას?

პოლიტიკურ ცხოვრებაში ეკლესიის ჩარევის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული ეროვნული საბჭოს საქმიანობაში თბილელი მიტროპოლიტის, ლეონიდისა და არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა) მონაწილეობა[2], მაგალითად, 1918 წლის 26 მაისის ისტორიულ სხდომაზე. სწორედ ამ სხომაზე ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა.

გავიხსენოთ, აგრეთვე, 1921 წლის 24 თებერვალს შემდგარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც

---

[1] https://sangu.edu.ge/ka/article/1917-tslis-12-25-marti-mtskheta-[უკანასკნელად გადამოწმდა 21. 03. 2021].

[2] *აბზიანიძე ა.* საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები (დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2006, გვ. 88.

იმსჯელა შექმნილ ვითარებაზე (ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთის საქართველოს დაპყრობას ცდილობდა) და სპეციალური წერილით მიმართა მცხეთა-თბილისის, ქუთაის-გაენათის, ჭყონდიდის და ცხუმ-ბედიის ეპარქიებს. ეს იყო ეკლესიის მხრიდან სახელმწიფოსათვის ერთგვარი მორალური მხარდაჭერა.[1]

თუკი ობიექტურნი ვიქნებით, საქართველოს ეკლესიის ეს მოქმედება სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან საბჭოთა რუსეთი საფრთხეს უქმნიდა არა მარტო საქართველოს პოლიტიკურ არსებობას, არამედ საქართველოს ეკლესიასაც. შესაბამისად, რიგი ავტორების მიერ ამ მორალური მხარდაჭერის *განსაკუთრებულად* წარმოჩენა, სრულიადაც არ არის განსაკუთრებული.

საქართველოს ეკლესია გულწრფელად მიესალმა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ცნობილია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ, 1918 წლის 2 ივნისს, თავისუფლების მოედანზე სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. ამ მოქმედებით ეკლესია ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერას გამოხატავდა. ეკლესიის მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თავისუფალ საქართველოში ძველი, ტრადიციული თანაარსებობა და ურთიერთობა განახლდებოდა. მაგრამ ქვეყნის საერო ხელისუფლება სხვაგვარად ფიქრობდა. საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალებას და პირველ რიგში მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიაჩნდა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციები მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო და ისინი ერთმანეთის საქმეებში აღარ უნდა ჩარეულიყვნენ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე და საკათალიკოსო საბჭო სეკულარიზაციის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მათი წარმოდგენით, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ჯერ-ჯერობით მხარში უნდა ამოდგომოდა ავტოკეფალია აღდგენილ საქართველოს ეკლესიას, რომელიც ფინანსურად თუ ქონებრივი თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავის რჩენა

[1] იქვე.

უმნელდებოდა. კათოლიკოს-პატრიარ ლეონიდეს სიტყვებით: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუებია ეკლესიას, თანახმა ვარ, დიახაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც, სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან გაყოფას ვთხოულობთ სახელმწიფოსგან“.[1]

ეკლესიის მცდელობის მიუხედავად, ყოფილიყო სახელმწიფოს ნაწილი და აქტიური მონაწილეობა მიეღო მის ცხოვრებაში, ქართული პოლიტიკური პარტიები მაქსიმალურად ცდილობდნენ ეკლესიისგან დისტანცირებას. თუმცა, მემარჯვენე ძალები მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ეკლესიის მიმართ მეტი პატივისცემა უნდა გამოეხატა. მაგალითად, საქართველოს ეროვნული პარტია თავის წინასაარევნო პლატფორმაში, რომელიც 1919 წლის იანვარში, დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ გამოაქვეყნა, ხაზს უსვამდეა: „ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივიცემით მოეპყრას ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს“.[2]

სოციალისტური პარტიებისაგან განსხვავებით, ქართული ეკლესიის ბედის, მისი არსებობისა და საქმიანობისადმი გულშემატკივრობით გამოირჩეოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნულ-დემოკრატები აღიარებდნენ ქართული ეკლესიის უფლებებს და იღწვოდნენ კიდეც ამ უფლებათა ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობამ ეკლესიის საკითხზე ასეთი დადგენილება მიიღო: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღიარებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ტერიტორიალურ მოწყობის აუცილებლობას, რომლის განმტკიცებაში ეკლესიას დახმარებას გაუწევს და იმედოვნებს, რომ საქართველოს ეროვნული მთავრობის

---

[1] *ვარდოსანიძე ს.* სეკულარიზმი. ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათიის ეკლესიური და საერო გაგება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), „ახალი ეპოქის დასაწყისი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი, შრომების კრებული თბ., 2018, გვ. 214.

[2] გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 31 იანვარი.

შემწეობით ჩვენი ეკლესია შეინარჩუნებს თავის ქონებასა და განძეულობას, რომელიც საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს“.[1]

1918 წლის 26 ნოემბრის კანონით, საქართველოს პარლამენტმა ყველა ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო სკოლაში გააუქმა საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.[2] საქართველოს ეკლესიის მესვეურები ამაოდ იმედოვნებდნენ, რომ „თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე“. ხსენებული კანონით, ეკლესია საერთოდ ჩამოაშორეს სწავლა-აღზრდის პროცესს, ფაქტობრივად, სახელმწიფომ ეკლესიას ჩამოართვა საგანმანათლებლო ფუნქცია, რომლითაც იგი მისი მთელი არსებობის განმავლობაში უწყვეტად სარგებლობდა.

იმავე 1918 წელს ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება, გაუქმდა ზოგიერთი საეკლესიო უქმე დღე, ეკლესიას ჩამოერთვა ისტორიული მნიშვნელობის მატერიალური ქონება, საეკლესიო მიწები.[3]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კვირა დღეების გარდა, ორ ათეულამდე უქმე დღე მოითვლებოდა, რომელთა შორის 16 საეკლესიო უქმე იყო. ხელისუფლებამ სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, 1919 წლის ივნისში, მოამზადა კანონპროექტი, რომელიც საეკლესიო უქმეების განახევრებას ითვალისწინებდა. ეს ინიციატივა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მკაცრად გააკრიტიკა ალექსანდრე ასათიანმა. მან განაცხადა, რომ დაუშვებელია საეკლესიო უქმეების არითმეტიკულად შემცირება, მით უფრო ეკლესიასთან

[1] გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 4 თებერვალი.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული.1918-1921, თბ., 1990, გვ.110.

[3] *სამუშია ჯ.* სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, ჟურნალი „ისტორიანი“, #89.

კონსულტაციის გარეშე, მაგრამ მემარჯვენე ოპოზიციური პარტიის თვალსაზრისი არ გაიზიარეს.[1]

საინტერესოა საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების ერთი მუხლი, რომელიც ეკლესიებსა და ღვთისმსახურების ადგილებში კრძალავდა ყოველგვარ საარჩევნო აგიტაციას, როგორც ქადაგების, ასევე სიტყვიერი ან წერილობით მოწოდებების სახით. ამ წესის დამრღვისათვის გათვალისწინებული იყო დაპატიმრება არა უმეტეს 6 თვისა.[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მკაფიოდ გამოკვეთილ ათეისტურ პოზიციაზე იდგა. თვით მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის აღზრდილი იყო, ღმერთის არ სწამდა. მას მიჩნდა, რომ ღმერთიცა და მეფეც გამოგონილი ავტორიტეტები იყვნენ.[3]

არ იქნება სწორი ეკლესიისადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების გულგრილობით აიხსნას, მაგრამ ფაქტია რომ სათანადოდ გამოუძიებელი დარჩა კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალება. ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის პირველი მეთაური 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში მოკლული იპოვეს. ასევე, კარგად ცნობილი ფაქტია, რომ დაძაბული იყო ურთიერთობა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასა და კირიონის შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ ლეონიდეს (ოქროპირიძე) შორის. ნოე ჟორდანია კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მისი ლოცვებში მოხსენიების წინააღმდეგიც კი წავიდა და მასთან სადარბაზოდ მისულ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდს მხოლოდ

---

[1] *ჯანელიძე ო.* საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2002, გვ. 354-355.

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ.105-106.

[3] *ჟორდანია ნ.* ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 12.

კაბინეტიდან გასულს დააწია თანხმობა. საეკლესიო იერარქებს ბრძოლაში მიმავალი ქართული ჯარის დალოცვაც კი აკრძალული ჰქონდათ.[1]

1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის კანონპროექტზე დაიწყო მუშაობა. 1920 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა კანონების გადამსინჯავი კომისიის პირველი სხდომა. მას თავმჯდომარეობდა სერგო ჯაფარიძე. კომისიის მიერ განხილული კანონპროექტიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე საკითხზე:

(ა) სარწმუნოების მსახურებისა და სასულიერო დაწესებულებების დახმარებას კანონპროექტი მორწმუნეებს ანდობდა;

(ბ) სასულიერო დაწესებულებებს უძრავი ქონების კერძო საკუთრებად შეძენა ეკრძალებოდა. ცხადია, აქედან გამომდინარეობდა მათ ხელში უკვე არსებული უძრავი ქონების ჩამორთმევა;

(გ) ცალკე გაესვა ხაზი ისეთ ქონებას, რომელსაც გააჩნია ისტორიული და მხატვრული ღირებულება. მათი აღწერა განათლების სამინისტროს დაეკისრა, აღწერის შედეგების საფუძველზე კი ისინი სახელმწიფოს ხელში უნდა გადასულიყო;

(დ) სარწმუნოებრივი პროპაგანდის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, სასწავლებლებში იკრძალებოდა საღვთო სჯულის სწავლება.

როგორც ვხედავთ, კანონპროექტი სახელმწიფოსგან ეკლესიის სრულ გამოყოფას უზრუნველყოფდა. ამის შედეგი იყო ახალი სხდომის მოწვევის საჭიროება, რათა განხილული კანონპროექტი ეკლესიისთვის უფრო ხელშემწყობი ყოფილიყო. მეორე სხდომა გაიმართა 1920 წლის 20 ოქტომბერს. სხდომაზე შესწორებული კანონპროექტი განიხილეს, რომელიც შემდეგს ითვალისწინებდა:

(ა) დაშვებული უნდა ყოფილიყო სარწმუნოებრივი ლექციების კითხვა და რელიგიური პროპაგანდა;

---

[1] *გურული ვ.* ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა. https://sangu.ge/images/vguruli/11cnob.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 10 .06. 2021].

(ბ) სახელმწიფოს მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინა (მათ შორის, ფინანსური) მღვდელმსახურების შესრულებისათვის ისეთ საზოგადო დაწესებულებებში, როგორიცაა: სატუსაღოები, საავადმყოფოები, თავშესაფრები, ჯარი, სახალხო გვარდია და ფლოტი.[1] 20 ოქტომბრის სხდომაზე განხილული კანონპროექტი უფრო ლიბერალური გამოდგა, ვიდრე 16 ოქტომბრის, თუმცა მას არსებითი ცვლილება არ განუცდია. 24 მუხლისგან შემდგარი კანონპროექტის არსიც სახელმწიფოსგან ეკლესიის სრული გამოყოფაში გამოიხატებოდა. ამ კურსის დაგვირგვინება იყო 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მე - 16 თავი, რომელიც აკანონებდა:

„მუხლი 14 : სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143: არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.

მუხლი 144: ხარჯის გაღება სახელმწიფო ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია“.

კონსტიტუციამ ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის სამომავლო ურთიერთობის მოდელი განსაზღვრა, არსებული რეალობა კი რამდენადმე განსხვავებული იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის მანძილზე ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, რადგან მას ეკლესია-მონასტრების (ისტორიული-კულტურული მემკვიდრეობის) დაცვასა და მოვლა-პატრონობასთან ერთად დაკისრებული ჰქონდა არაერთი ფუნქცია, მათ შორის: დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების რეგისტრაცია და სხვ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ საქართველოს ეკლესიის დაფინანსების საკითხს. როგორც ჯაბა სამუშია მიუთითებს, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიას სახელმწიფო ფინანსურად მთელ 1918-1921 წლებში უჭერდა მხარს.“ ამის დასტურად

[1] *სამუშია ჯ.* სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, ჟურნალი „ისტორიანი“, #89.

მკვლევარს მოჰყავს 1920 წელს მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც იყო 1919-1920 წლებში დახარჯული თანხის შეჯამება. მასში მითითებული იყო, რომ სახელმწიფომ ეკლესიისთვის დახარჯა 1.726.055 მანეთი.[1] სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიისთვის რეალური ფინანსური დახმარების გაწევას სკეპტიკურად უყურებს ისტორიკოსი სერგო ვარდოსანიძე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის ფაქტებად უნდა განვიხილოთ: რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 17 თებერვლის დადგენილება, რომლითაც გაუქმდა კავკასიის სინოდალური კანტორა და ასევე, იმავე წლის 7 აგვისტოს დადგენილება რუსული, ბერძნული და ოსური სამრევლოების საქართველოს ეკლესიისადმი დაქვემდებარების შესახებ. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის გაწყდა ის კავშირი, რომელიც ტრადიციულად არსებობდა საუკუნეების განმავლობაში. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ეკლესიის უფლება-კომპეტენციის ფარგლები და სხვა, მაგრამ უფრო დიდი განსაცდელი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას წინ ელოდა.

[1] იქვე.

II თავი. საქართველოს ეკლესია საბჭოთა პერიოდში

2.1. საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველო ეკლესია

საბჭოთა ხელისუფლება შექმნის დღიდანვე აქტიურად უპირისპირდებოდა ეკლესიასა და მორწმუნეებს. ეკლესია კანონგარეშე გამოცხადდა. საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 15 აპრილს გამოცემული №21 დეკრეტის თანახმად, „არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ ორგანიზაციას არ აქვს უფლება იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება საქართველოს რესპუბლიკაში. არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“.[1]

ბოლშევიკებმა სამღვდელოებას მიაკერეს იარლიყი „რეაქციული“ და იდეოლოგიურ ფრონტზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ეკლესიის როლის დაკნინება, მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა დასახეს.[2] ლენინის თანახმად, „რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მარქსიზმის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს, რადგან ის ათეისტურია“.[3] ეკლესია საბჭოთა სახელმწიფოში ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ, „კონტრრევოლუციურ“ ძალად განიხილებოდა და მიიჩნეოდა, რომ მისი ლიკვიდაციის გარეშე ქვეყანაში შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის გამარჯვება.[4] ამიტომაც ბოლშევიკურ-კომუნისტურმა რეჟიმმა ეკლესია იმდენად მარგინალურად აქცია, რომ საბჭოთა პერიოდში (განსაკუთრებით 20-30-იან წლებში) სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე კი არა, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის განადგურებაზე თუ შეიძლება საუბარი.

შექმნილი ვითარების აღსაწერად შეიძლება გამოვიყენოთ ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილი „ანტიეკლესიის მოდელი“, სადაც ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ

---

[1]საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური კრებული. ტ. 1. 1921-1940 წწ. თბ., 1959, გვ. 10-13.

[2]*სტალინი ი.* თხზულებანი. ტ. 10, თბ., 1950, გვ. 132.

[3]*ფანჯიკიძე თ.* წერილები რელიგიისა და ათეიზმის შესახებ, თბ., 1976, გვ. 247.

[4]*ვაჩნაძე მ. გურული ვ.* რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, თბ., 2008,გვ. 34

სახელმწიფო, რელიგიური ნეიტრალიტეტის შენარჩუნების ნაცვლად, მას უპირისპირდება დაებრძვის. დასავლურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა თავისი არსით აგრესიულ სეკულარისტულ ხასიათს ატარებდა.[1]

ლენინისა და ბოლშევიკთა სხვა ლიდერებისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის თავისუფალი ფუნქციონირება მიუღებელი იყო. „კომუნისტური მთავრობა საწყის ეტაპზე შედარებით ლიბერალიზმს იჩენდა სხვა რელიგიების მიმართ. ეს განსაკუთრებით მუსლიმებზე ითქმის, ასევე (თუმცა შედარებით ნაკლებად) ებრაელებზეც. ასეთ დისკრიმინაციას კომუნისტები, ალბათ, იმ მოტივით ახსნიდნენ, რომ არც მუსლიმთა და არც ებრაელთა თემებს მკვეთრად გამოხატული ... კლასობრივი ექსპლუატაცია, არ ახასიათებდა“.[2] 20-ანი წლების ბოლოსა და 30-იან წლებში საბჭოთა აგრესია მნიშვნელოვნად გაიზარდა მუსლიმების, პროტესტანტებისა და ლუთერანების მიმართაც.

რელიგიის ისტორიის მკვლევრის, ნუგზარ პაპუაშვილის თანახმად, „ანტირელიგიურ ისტერიას საქართველოში ეროვნული მოტივი და სარჩული ემატებოდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურობა შინაარსით საბჭოთა სისტემის ზოგად კონტექსტსა და პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. ამ ეკლესიის შვილები, ნებსით თუ უნებლიეთ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას ემხრობოდნენ, ანდა მის დავიწყებას ვერ ახერხებდნენ, რაც მათ ბუნებრივად უბიძგებდა საბჭოთა იდეოლოგიასა და წყობილებასთან დაპირისპირებისაკენ“.[3] მართლაც, საქართველოს ეკლესია

---

[1] *ქართველიშვილი მ.* საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში. ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2019, გვ. 34; 73.

[2] *პაპუაშვილი ნ.* საბჭოეთი და რელიგია. მოხსენება წაკითხულ იქნა 2018 წლის 8 ივნისს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ გამართულ დისკუსიაზე „საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა“. http://tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia [უკანასკნელად გადამოწმდა 21. 52. 2021].

[3] იქვე.

უკანონოდ მიიჩნევდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას და მის ძალმომრეობას სხვადასხვა ფორმით უპირისპირდებოდა. საგულისხმოა, რომ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ არც ერთ ქართველ მღვდელს სამშობლო არ დაუტოვებია. ყველა მათგანმა თავის მრევლთან დარჩენა და მისი ბედის გაზიარება არჩია.[1]

1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მემორანდუმით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციას. მღვდელმთავარი ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას და საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას მოითხოვდა.

კათოლიკოს-პატრიარქი დააპატიმრეს, თუმცა მისი სიკვდილით დასჯა ვერ გაბედეს და შვიდი წლით საპყრობილეში გამოკეტეს. სასამართლო პროცესზე მოსამართლე ერქომაიშვილმა კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსის ჰკითხა: „რას მოელოდი გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმით? ვიცავდი საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეკლესიურ თავისუფლების იდეას“.[2]

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული და პატრიოტული პოზიციით შეიძლება აიხსნას, რომ ეკლესიის დევნა-შევიწროების პროცესი უფრო მძაფრი იყო საქართველოში, ვიდრე საკუთრივ რუსეთში.

ეკლესიაზე კონტროლისა და ამ ინსტიტუტის დისკრედიტირების მიზნით, საბჭოთა ხელისუფლება მის წიაღში ნერგავდა აგენტებს, აქტიურად იყენებდა ჯაშუშურ ქსელს, ფართოდ მიმართავდა მიზანმიმართულ პროვოკაციებს სამღვდელოებისა და მრევლის ურთიერთდაპირისპირებისათვის და სხვ.[3]

---

[1]კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია: საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში N6 კომუნისტური აგრესიის შესახებ: მომზადებულია თანახმად H. Res. 346 და H. Res. 438: 1954 წლის 31 დეკემბრის წარედგინა წარმომადგენელთა პალატას და გადაცემული იქნა დასაბეჭდად. აშშ-ს წარმომადგენელთა პალატა, 83-ეკონგრესი, მე-2 სხდომა. თბ., 2007, გვ. 40-41.

[2] http://www.orthodoxtheology.ge/კათალიკოს-ამბროსი-ხელაია/[უკანასკნელად გადამოწმდა 20. 05. 2021].

[3]*ბენდელიანი მ.* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, თბ., 2002, გვ. 33.

ბოლშევიკები ეკლესიასთან ერთად მოურიდებლად თელავდნენ წარსულსაც, რომელიც ფეოდალურ გადმონაშთად გამოაცხადეს. საილუსტრაციოდ გამოდგება, რომ თბილისში მთავრობის სახლი 1921 წელს კოჯორთან დაღუპული იუნკრების საფლავებზეა აგებული. ქუთაისის მერია იმ ეკლესიის ქვებითაა ასენებული, სადაც წირვას ატარებდა გაბრიელ ეპისკოპოსი. „ასეა საქართველოს მრავალ სოფელსა და ქალაქში“.[1]

1922 წელს, ბოლშევიკური ხელისუფლების ინიციატივითა და საბჭოთა სპეცსამსახურების კონტროლით, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში სქიზმატური, ე. წ. განახლების მოძრაობა დაიწყო. კანონიკური ეკლესიის დასასუსტებლად გამიზნულ ამ წამოწყებას ეკლესიის მიერ ბოლშევიზმის ლეგიტიმურობის აღიარებაც უნდა უზრუნველეყო.[2] მსგავსი მოდერნიზაცია იმავე მიზნით საქართველოში ცოტა მოგვიანებით განხორციელდა. კომუნისტურმა რეჟიმმა საქართველოს ეკლესიის გათიშვა და დასუსტება მისი „განახლებით“ სცადა.[3]

საქართველოს ტრადიციული ეკლესიის მოწინააღმდეგეთა დაჯგუფებამ, რომელიც თავსდამტყდარ უბედურებას ეკლესიის ახალ რეჟიმთან დაპირისპირებას აბრალებდა, საბჭოთა ხელისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადა. 1927 წელს ჩატარებულმა IV საეკლესიო კრებამ, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) აირჩია, საბჭოთა ხელისუფლება აღიარა.[4]

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ახალ სტილზე გადასვლის შესახებ, ასევე, გამარტივდა ღვთისმსახურების და სამღვდელო პირთა ცხოვრების წესები. ეს სიახლე მრევლმა ხელისუფლებისგან თავსმოხვეულად აღიქვა, რის გამოც რეფორმები ცხოვრებაში ვერ დაინერგა. 1928 წელს კვლავ აღდგა ძველი სტილი.

---

[1]საქართველოს ისტორია. XX საუკუნ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003, გვ. 246.
[2]https://bigenc.ru/religious_studies/text/2282977 [უკანასკნელად გადამოწმდა 16. 04. 2021].
[3]*არაბიძე ი.* „განახლების მოძრაობა“ საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში. დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2005.
[4]*ანდრონიკაშვილი ზ.* სტალინური ეკლესია.
https://www.radiotavisupleba.ge/a/30822595.htm [უკანასკნელად გადამოწმდა 20. 06. 2021].

რასაკვირველია, პროსაბჭოური ძალების ეკლესიის სათავეში მოსვლა და საბჭოთა ხელისუფლების აღიარებადა მისდამი ლოიალური განწყობა ვერ დაამთავრებდა ბოლშევიკების ანტირელიგიურ პოლიტიკას. კრემლი ღვთის რწმენისა და ტრადიციული რელიგიის ჩანაცვლებას კომუნისტური იდეოლოგიით ცდილობდა. საეკლესიო დღესასწაულებისა და უქმეების ნაცვლად საზოგადოებას თავს ახვევდნენ კომუნისტურ ზეიმებს, იკრძალებოდა ნათლობა, ჯვრისწერა თუ მიცვალებულისთვის წესის აგება.[1] სანაცვლოდ, საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დიდი ყურადღება ეთმობოდა მომავალი თაობის ანტირელიგიური აღზრდასდა კომუნიზმის იდეალების ერთგული ახალი ადამიანის ფორმირებას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე. 1929 წელს რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი", რომელიც 1934 წლიდან ყოველკვირეულ გაზეთსაც გამოსცემდა „მებრძოლი ათეისტი"-ს სახელწოდებით.[2] ახლად შექმნილი დაწესებულება ეწეოდა ფართო ანტირელიგიურ პროპაგანდას პერიოდული პრესის, ლექცია-სემინარების, სახალხო უნივერსიტეტების, პარტიული სკოლებისა და სხვა საშუალებებით. „მუკ"-ის მხოლოდ თბილისის ორგანიზაცია 11 000 წევრს აერთიანებდა.[3]

გრძელდებოდა ეკლესიებისა და მონასტრების გაუქმება. ჯერ კიდევ 1921 წელს საქართველოში 1200 ეკლესია დაიხურა. ხელისუფლებამ საქართველოს საპატრიარქოს თბილისში ჩამოართვა ალექსანდრ ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი, შეწყდა წირვა-ლოცვა ანჩისხატში, გელათში, ალავერდსა და სხვაგან. ეს პროცესი მომდევნო წლებშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა. 1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების პერიოდში მრავალი სასულიერო პირი დახვრიტეს ან

---

[1] *ჯანელიძე ო.* საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 218.

[2] „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" 1947 წლამდე არსებობდა. მისი ათეისტურ-პროპაგანდისტული ფუნქციები შემდგომ საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ცოდნა"-ს გადაეცა.

[3] *სილაგაძე ე.* მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ. ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2014, გვ. 97. მკვლევარ გ. როგავას მიხედვით, ეს რიცხვი 10 ათასს უდრიდა. იხ. *როგავა გ.* როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), თბ., 1994, გვ. 108.

სამშობლოდან გადაასახლეს.[1] დაგეგმილი იყო სიონის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრების დახურვა და სხვ.1942-1943 წლებისათვის საქართველოში მხოლოდ 15 მოქმედი ეკლესია და 30 სასულიერო პირიღა შემორჩა.[2]

განსაკუთრებით რთული ვითარება იყო ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში. 1937 წელს დააპატიმრეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე და გადაასახლეს. ეპარქიაში მინიმუმამდე შემცირდა ქართველ სასულიერო პირთა რიცხვი.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას სტალინის დამოკიდებულება ეკლესიისადმი შეიცვალა, საბჭოთა ლიდერი ლოიალური ხდება ეკლესიის მიმართ და ცდილობს ის პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენოს.[3] პარალელურად, 1943 წელს ჩამოყალიბდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა კომიტეტი, რომელსაც თავისი რწმუნებულები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ჰყავდა. ამ ახალ სახელისუფლებო ინსტიტუტს ეკლესიის ოფიციალური მეთვალყურეობა და მისი საქმიანობის კონტროლი ევალებოდა,

1943 წელს რუსეთის ეკლესიაში დასრულდა „სინოდალური პერიოდი“ და კვლავ აირჩიეს პატრიარქი. ახლადარჩეულმა პატრიარქმა სერგიმ სამშობლოს დასაცავად ომში მონაწილეობა ყველა მართლმადიდებლის უწმინდეს მოვალეობად გამოაცხადა. იმავე წელს რუსეთის ეკლესიამ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მასთან ევქარისტული კავშირი განაახლა. „იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, ეკლესიის თვითმოწესეობის აღიარება აძლიერებდა ქართველთა ეროვნულ თვითმყოფადობა-

---

[1]ციმბირში გადაასახლებულ სასულიერო პირთა შორის იყო ბოდბის მონასტრის იღუმენია, ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის და, დედა თამარი (მარჯანიშვილი). მას გადასახლებიდან განთავისუფლების შემდეგაც საქართველოში ცხოვრების უფლება არ მიეცა.

[2] „ქრონიკა +“ ესაუბრა თსუ - ის პროფესორს, საბჭოთა კავშირის პერიოდში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებში კომპეტენტურ პირს, თამარ ბელქანიას“.

[3]*პავლიაშვილი ქ.* საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008, გვ. 445-446.

იდენტობას, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანსვეტიც ისტორიულად მართლ მადიდებლური მრწამსი იყო“.[1]

1944 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში დააბრუნა რეპრესირებული სასულიერო პირები, მათ შორის, მღვდელმთავარი ეფრემ სიდამონიძე.

კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ სრული მხარდაჭერა აღუთქვა ომში ჩაბმულ საბჭოთა ქვეყანას. საქართველოს ეკლესიამ შემოწირულობის სახით სოლიდური თანხა შეაგროვა და ფრონტის საჭიროებისათვის თავდაცვის ფონდში შეიტანა. მარტო 1943 წლისათვის საქართველოს ეკლესიის მიერ შეგროვილმა თანხამ 85 000 მანეთი შეადგინა.[2]

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი ლიბერალიზაცია და „დათბობის“ პერიოდი დაიწყო, რამდენადმე გამოცოცხლდა რელიგიური ცხოვრებაც, სადღესასწაულო ლიტურგიებზე ტაძრებში შესამჩნევი გახდა მიმსვლელთა სიმრავლე.[3] შესაძლებელი გახდა ზოგიერთი გაუქმებული ეკლესიის აღდგენა, თუმცა არაერთი ეპარქია წინამძღვრის გარეშე იყო დარჩენილი და სასულიერო პირების შევიწროებაც ისევ გრძელდებოდა. მაგალითად, 1959 წელს მიტროპოლიტ ნიომის მკვლელობა სცადეს, რის გამოც მან ქუთაის-გენათის ეპარქია მიატოვა. 1974 წელს იმავე ეპარქიის იძულებით დატოვება მოუხდა მიტროპოლიტ რომანოზს. გარდა ქუთაის-გენათის ეპარქიისა, მთავარი მღვდელმთავარი არ ჰყავდა: ურბნისის, აწყურის, აგარაკ-წალკის, მარგვეთის, ცაგერის, ნიკორწმინდის ეპარქიებს.[4]

ათეიზმის პროპაგანდა სტალინის მომდევნო საბჭოთა ლიდერების - ნ. ხრუშჩოვის, ლ. ბრეჟნევისა და სხათა მმართველობის პერიოდშიც რჩებოდა

---

[1] *ქართველიშვილი მ.* საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისია სახვისთავისებურებები 1953-1964 წლებში, გვ. 111.

[2] *პავლიაშვილი ქ.* საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008, გვ. 473.

[3] *სტაინბეკი ჯ.* რუსული დღიური. ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანმა. თბ., 2015, გვ. 215-216.

[4] *დეისაძე-შარვაშიძე ლ.* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე), სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, გვ.15.

პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებად. აქცენტი გადაიტანეს მეცნიერულ ათეიზმზე, რაც რელიგიისა და მისი გადმონაშთების წინააღმდეგ აკადემიურ-შემეცნებითი გზით ბრძოლას გულისხმობდა. გააქტიურა საქმიანობა საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნა“-მ, გამოიცემოდა წიგნები და ბროშურები და სხვ. ათეისტური პროპაგანდა ძველებურად აგრესიული აღარ იყო და თანდათან ფორმალურ ხასიათსაც იძენდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების მელქისედეკ III-ის (1952-1960), ეფრემ II-ისა (1960-1972) და დავით V-ის(1972-1977) პერიოდში გრძელდებოდა ხელისუფლებასთან კომპრომისული და თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც, უპირველესად, ეკლესიის ინტერესებით იყო განპირობებული. მკველევართა აზრით, ეკლესიის მხრიდან ეს ადექვატური მოქმედება იყო, რადგან ხელისუფლებასთან კონფრონტაცია ისევ ეკლესიისათვის იქნებოდა საზიანო. ამ თანამშრომლობის შედეგად მიჩნეულია მცხეთაში სამოძღვრო კურსების დაარსება, რომლის ბაზაზეც ორ წელიწადში სასულიერო სემინარია გაიხსნა; შესაძლებელი გახდა „საქართველოს ეკლესიის კალენდრის“ გამოცემა, ასევე დაიბეჭდა „ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“ და „ლოცვანი“.[1]

ყოვლისმომცველი ანტირელიგიური პროპაგანდისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დაუნდობელი ბრძოლის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის განმავლობაში სასულიერო პირები დაბეგრილი იყვნენ მაღალი გადასახადებით, არ შეწყვეტილა ეკლესია-მონასტრების ძარცვა და შევიწროება, საბჭოთა რეჟიმმა საზოგადოების სარწმუნოებისადმი სრული გაუცხოება ვერ შეძლო და ეკლესიაც სრულ განადგურებას გადაურჩა.

1977 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ამ პერიოდიდან აქტიურად დაიწყო ეკლესიის გაჯანსაღების პროცესი.

---

[1] *ქართველიშვილი მ. საბჭოთა* რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისია სახვისთავისებურებები 1953-1964 წლებში, გვ. 151-154.

2. 2. საქართველოს ეკლესია XX საუკუნის 80-იან წლებში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ყველა მკვლევარი საგანგებოდ გამოყოფს ჩვენი ეკლესიის განვითარების ახალ ეტაპს, რომელიც ქვეყნის კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევის შემდეგ დაიწყო. ეს სრულიად ბუნებრივად მეჩვენება და ვიზიარებ შეხედულებას, რომ ამ საქართველოს ეკლესიაში ამ დროიდან მართლაც გარდამტეხი პერიოდი დაიწყო.

ხსენებული პერიოდი საბჭოთა კავშირში მიმდინარე პერესტროიკის (გარდაქმნა) პროცესსა და კომუნისტური წყობილების კრიზისს დაემთხვა. პერესტროიკა გულისხმობდა რეფორმებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნისათვის, ასევე საჯარობისა და დემოკრატიის განვითარებას და სხვ. ხელისუფლება ერთბაშად უამრავი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ პირობებშიც კი, მართალია, სახელმწიფოს ეკლესია თავისი კონტროლისაგან არ გაუშვია, მაგრამ ეკლესიას, ადრინდელთან შედარებით, საქმიანობის მეტი თავისუფლება მიეცა. ამის შედეგი იყო ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენა, რელიგიური სასწავლებლების აღდგენა-დაარსება. 1988-1990 წლებში გაიხსნა გელათის მონასტერი; დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია; საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა კუთვნილი ისტორიული საპატრიარქოს რეზიდენცია; აღდგა გელათის სასულიერო აკადემია.[1]

მრევლში გასავრცელებლად დაიბეჭდა ყოველდღიური ლოცვები, ფსალმუნები. დაიწყო საეკლესიო ჟურნალების ,,ჯვარი ვაზისა“ და ,,საღვთისმეტყველო კრებულის“, გაზეთების ,,მადლისა“ და ,,საპატრიარქოს უწყებანის“ გამოცემა. ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1988 წელს ახალ ქართულ ენაზე გამოიცა „ბიბლია“, დაიწყო აკრძალული საეკლესიო დღესასწაულების განახლება. ზოგიერთ ძველ ეკლესიაში აღდგა ღვთისმსახურება და სხვ.

---

[1] *დეისაძე-შარვაშიძე ლ.* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80 - იანი წლებიდან დღემდე), თბ., 2019, გვ. 151-160.

ახალ პატრიარქისათვის პრიორიტეტული იყო სულიერი ცხოვრების გაცოცხლება, რითაც ხელი შეეწყობოდა ქვეყნის დამოუკიდებლობას და საქართველოს ეკლესიის კავშირების დამყარება სხვა დამოუკიდებელ ეკლესიებთან, რაც საბოლოოდ საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარებითა და ავტოკეფალიის ცნობით უნდა დაგვირგვინებულიყო. გაფართოვდა საქართველოს ეკლესიის ურთიერთობები საზღვარგარეთთან. 1979 წელს ილია II ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტად აირჩიეს. 1990 წლის 25 იანვარს მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად აღიარა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

ილია II-ის კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების დღიდანვე, გაიზარდა საქართველოს ეკლესიის ზრუნვა უცხოეთში დაცული ქრისტიანული მემკვიდრეობის მიმართ. ეკლესიის მეთაურმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზღვარგარეთ დაცულ ქართულ ქრისტიანულ მემკვიდრეობას. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღადგინა ურთიერთობა წმინდა ათონის მთაზე არსებულ ქართულ ივირონის მონასტერთან, რამაც შესაძლებლობა შექმნა, რომ ქართველი მეცნიერები უშუალოდ გასცნობოდნენ იქაურ ხელნაწერებსა და სხვა სიძველეებს. საქართველოს ეკლესიის ხელშეწყობითა და იმ დროინდელ ხელისუფალთა დაფინანსებით, 1980 წლის მარტში მოხერხდა ივერონის მონასტერში დაცული 70-ზე მეტი ქართული ხელნაწერის მიკროფირის საქართველოში ჩამოტანა. ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა.[1] ქართველმა მეცნიერებმა საინტერესო წერილობითი წყაროები გამოავლინეს ვატიკანის არქივებში და სხვ. ამ მასალების საფუძველზე უკვე გამოქვეყნებულია არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო ეროვნული მოძრაობის გულმხურვალე მხარდამჭერი. ამას მოწმობს მის არქივში დაცული თუნდაც ეს ჩანაწერი: „ახლა თვალწინ მყავს წარმოდგენილი კათოლიკოს-პატრიარქი

[1] *გუბულაშვილი ე.* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვაწლი უცხოეთის ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში (XX ს-ის 70-იანი წლები – XXI ს-ის პირველი ათეული), ჟურნ. „ლოგოსი“, # 7, თბ., 2013. გვ. 128-129.

ანტონ II ერეკლეს ძე, მაგონდება მისი ტირილი და გოდება დაობლებულ საქართველოზე, იგი იმედდაკარგული და დამწუხრებული რწყავდა რუსეთის მიწას თავისი მდუღარე ცრემლით“.[1]

თავის ქადაგებებში, რომლებიც საეკლესიოსთან ერთად, ეროვნულ-პატრიოტულ იდეებსაც შეიცავდა, პატრიარქი მრევლს ზნეობის, ერთიანობისა და სამშობლოს სიყვარულისკენ მოუწოდებდა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი ზვიად გამსახურდია მორწმუნე პიროვნება იყო. იგი, როგორც სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლი, 1979-1989 წლებში ესწრებოდა საეკლესიო რიტუალებს, წირვა-ლოცვებს, ცდილობდა ხელი შეეწყო ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედებისათვის, აქტიურად მონაწილეობდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის ღონისძიებებში და სხვ. დედაეკლესიის წევრი და ამა თუ იმ კონკრეტული ტაძრის მრევლი იყო ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი სხვა ლიდერი და მოძრაობის ბევრი აქტიური მონაწილე, რომლებიც თავიანთ რელიგიურობას ხაზგასმით წარმოაჩენდნენ. მაგალითად, მამუკა გიორგაძის სიტყვით: „ჩვენ პატრიარქის ფრთებქვეშ ვიყავით შეფარებული. იგი ყველანაირად ხელს გვიწყობდა, რომ სწორი გზით წავსულიყავით. მან დაგვაფიქრა დღევანდელობაზე და მოგვცა მომავლის იმედი“,[2] „ეკლესია იქცა ეროვნული განწყობის ადამიანებისთვის შეკრებისა და შეხვედრის ადგილად. ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ადამიანი პრაქტიკულად ხდებოდა მრევლი“.[3]

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით რომ ეროვნული მოძრაობა ეკლესიის გარშემო ძლიერდებოდა. „პატრიარქი იყო 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი. საქართველოს პატრიარქის უდიდესი დამსახურებაა, რომ

---

[1] *ვარდოსანიძე ს.* XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები. 2011, თბ., გვ.162.

[2] *ჯანელიძე ო.* ეკლესიის ფაქტორი საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში (XX საუკუნის 80-იანი წლები), ჟურნ. „ლოგოსი“, # 7, თბ., 2013, გვ. 406.

[3] *გიორგაძე მ.* პატრიარქი და ეროვნული მოძრაობა, კრებულში - ისტორია შეულამაზებლად, თბ., 2014, გვ. 117.

ეროვნული იდეა და მოძრაობის ძირითადი ბირთვი, სწორედ სიონის ეზოში და საკურთხეველში ყალიბდებოდა“.[1]

პოზიცია ეკლესიისადმი ზვიად გამსახურდიას ჯერ კიდევ თავის დისიდენტობის პერიოდიდან ჩამოუყალიბდა. მაშინ ის მძაფრად ამხელდა ეკლესიის შიგნით არსებულ ხარვეზებს, წერდა და საუბრობდა მათი აღმოფხვრის აუცილებლობაზე. ზვიად გამსახურდია კრიტიკულად იყო განწყობილი მომავალი პატრიარქისადმიც, მაგრამ 1972 წელს, მან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე მხარი დაუჭირა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის კანდიდატურას, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მაინც ყველასაგან გამორჩეულ, ნათელ პიროვნებად მიიჩნევდა. მოგვიანებით, 1979 წლის 19 აგვისტოს, ზვიად გამსახურდიამ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა პატრიარქს: „უწმიდესო და უნეტარესო! დღეს, როდესაც აღსრულდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება და თქვენ მოევლინეთ მამამთავრად ივერიის წმინდა სამოციქულო ეკლესიას, ყოველი ქართველის უწმიდესი მოვალეობაა, ამოგიდგეთ მხარში და თავისი თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს ჩვენი ეკლესიის აღორძინების დიდ საქმეში. ჭეშმარიტად დიდი და სასიხარულო ცვლილებებია ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში, თქვენი მადლიანი ხელი დაეტყო ყოველივეს, ჭეშმარიტად არ ყოფილა განწირული წმინდა ივერია, მაგრამ, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულის ზოგიერთი მანკიერება ჯერაც არ აღმოფხვრილა და ბევრი რამ მოითხოვს ყურადღებას“.[2]

ეკლესიისა და ეროვნული მოძრაობის აქტიურ თანამშრომლობას, მათ კოორდინირებულ საქმიანობას ადასტურებს ქაშვეთის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ელიზბარ ოდიშვილი, რომელიც პირადად მონაწილეობდა ამ პროცესებში.

---

[1] იქვე, გ. 119.

[2] http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=318%3A-ii&catid=47%3A2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka&fbclid=IwAR1wMctO7axbvbwryOpsgccWwX7MbetpNgFJwAwDS9y5IbE4uCnacwTEZLE [უკანასკნელად გადამოწმდა 20.02.2021].

„სიონის საკათედრო ტაძართან ყოველთვის იკრიბებოდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები, როგორიც იყვნენ გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, გიორგაძე და სხვა უამრავი ახალგაზრდა. ისინი ლოცვას რომ ესწრებოდნენ, მე მაშინ ვიყავი სულ ახალგაზრდა და მქონდა ამ ეროვნულ მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრა. მე მახსოვს, პატრიარქმა ერთ-ერთ ამ შეხვედრაზე სთხოვა [მათ], რომ „იქნებ ერი მოვატრიალოთ სულიერების გზაზე, გადავარჩინოთ და აქედან დაიწყოს ეროვნული მოძრაობა“. მართლაც ასე იყო, არაერთხელ ვყოფილვარ გამსახურდიასთან და სხვა ლიდერებთან ერთად ისეთ ეკლესიებში, რომლებიც დაკეტილი იყო და ის ეკლესიები იყო ქცეული საჯინიბოებად. ეროვნული მოძრაობის, ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოსა და მტრებისგან დაგვეცვა ეკლესია, საპატრიარქო ტახტი და პატრიარქი.“[1]

ზვიად გამსახურდია, რომელიც თავს ქრისტიან-დემოკრატად მიიჩნევდა,[2] მიტინგებზე წარმოთმულ სიტყვებსა თუ თავის სხვა გამოსვლებში ყოველთვის საუბრობდა რელიგიური აღორძინების აუცილებლობის შესახებ. ეროვნულ მოძრაობას ის უპირველეს ყოვლისა რელიგიურ მოძრაობად განიხილავდა. „ჩვენი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძნება. ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია“, - აცხადებდა იგი.[3]

საყურადღებოა, რომ 80-ან წლებში საქართველოში ქრისტიანული იდეოლოგიის მქონე რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანებაც კი ჩამოყალიბდა. მაგალითად, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – IV დასის დეკლარაციაში გაცხადებული იყო: „პარტია თავის უმაღლეს ამოცანად ისახავს: იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, დემოკრატიული, პარლამენტარული და ქრისტიანული საქართველოსათვის“, რომ პარტიის

---

[1] ინტერვიუ მამა ელიზბარ ოდიშვილთან (2021 წელი, ინტერვიუ ინახება ჩემთან).

[2] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), თბ., 2013, გვ. 157.

[3] იქვე, გვ. 39.

იდეოლოგიას წარმოადგენს თეოდემოკრატია, ქართული პოლიტიკური ძალები რელიგიურ პრინციპებს არ დაყრდნობიან.[1]

როდესაც საქართველოს ეკლესიისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირზე ვსაუბრობთ, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ეკლესია და ეროვნული მოძრობა ყველაფერში თანხმდებოდა და მათ შორის არ იყო განსხვავებული აზრი. საქართველოს ეკლესიას პოლიტიკური მიზნები არ ამოძრავებდა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის გამარჯვება მისთვისაც მნიშვნელოვანი იყო. ეკლესიისა და ეროვნული მოძრაობის ინტერესები ერთმანეთს არ ჰკვეთდა. ეკლესიას პოლიტიკურ ხელისუფლებაზე პრეტენზია არ ჰქონდა, რის გამოც ეროვნულ მოძრაობას იგი თავის კონკურენტად და პოტენციურ მეტოქედ არ უნდა განეხილა. „იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი დღეს ამ მოძრაობას „ქართულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ მოძრაობასაც“ კი უწოდებს, ეროვნული მოძრაობის მეთაურთა ნაწილი ბოლომდე არ ენდობოდა ეკლესიას და მის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი“.[2]

ეკლესიის კრიტიკასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქის თვალსაზრისი ამგვარი იყო: არაეკლესიურ საზოგადოებაში გამოითქმება საყვედური იმის გამო, რომ „მორწმუნეთა და სასულიერო პირთა შორის არიან ცუდი წარსულის მქონე პირები. დიახ, ასეთები მართლაც არიან და ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს. ეკლესია სულის მკურნალია. იგია ის წმიდა სავანე, სადაც ხელს არ კრავენ გზასაცდენილთ. ეკლესიის ვალი და მიზანი სწორედ ისაა, რომ სულიერი დახმარება აღმოუჩინოს შეცდომილთ, შეიწყნაროს და სწორ გზაზე დააყენოს ისინი“.[3]

საინტერესოა მიტროპოლიტ იოანეს მოსაზრებაც, რომელიც მღვდელმთავარმა ჩემთან ინტერვიუში გამოთქვა: „ეროვნულ მოძრაობაში იყო საღი მოქმედება და იყო

---

[1] *ჯანელიძე ო.* ეკლესიის ფაქტორი საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში (XX საუკუნის 80-იანი წლები), გვ. 204.
[2] იქვე, გვ. 205.
[3] ილია მეორის საშობაო ეპისტოლე - 1989. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=18486&amonaridi=18491[უკანასკნელად გადამოწმდა 17. 06. 2021].

ასევე აბსურდული მოთხოვნები. სამწუხაროდ, ამ მოძრაობის დროს იყო ბევრი ემოცია, რასაც შემდგომში მოჰყვა შეცდომები... მათ ჰქონდათ თავისი ხედვა, ეკლესიას ჰქონდა თავისი ხედვა, გარკვეულ შემთხვევებში იკვეთებოდა საერთო ინტერესები, ერთად ვიყავით, ხშირ შემთხვევაში კი თვითნებობას ჰქონდა ადგილი, არ გამოდიოდა არაფერი და საქმე ფუჭდებოდა.

პოლიტიკური პროცესები სულ სხვაა და ეკლესიის მისია და მიზანი სულ სხვაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ხშირად ემთხვეოდა ჩვენი გზები და მოქმედება იყო კოორდინირებული, განსაკუთრებით კი 90-იან წლებამდე. ეროვნულ მოძრაობასთან ურთიერთობაში ეკლესიის მიზანი ყოველთვის იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი წარმატება და ღირსეული ადგილი მსოფლიოში“.[1]

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენაში, რომლებიც ხდებოდა 80-იანი წლების საქართველოში. განსაკუთრებით გამოსაყოფია 1988 წლის ნოემბრის აქციები და 1989 წლის 9 აპრილი.

1988 წლის ნოემბრის აქციის მთავარი მოთხოვნა იყო მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის უფლების შენარჩუნება კონსტიტუციაში. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მასშტაბური გამოსვლები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც მიმდინარეობდა.

მთავრობის სახლთან დაიწყო შიმშილობის აქცია. პატრიარქმა აქციის მონაწილეებს სანთლები და ლოცვანნი გაუგზავნა. „ყოველდღე აგზავნიდა სასულიერო პირებს, რათა მოშიმშილეები ზიარებულიყვნენ. მაღალი იერარქები და მოძღვრები აქციის მსვლელობის დროს იხდიდნენ პარაკლისს, ქადაგებდნენ და პირადი საუბრებით ამხნევებდნენ ხალხს“.[2]

ამ მოვლენებთან დაკავშირებით საიყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის არქიმანდრიტი ზაქარია ძინძიბაძე, რომელიც იმხანად საქართველოს საპატრიარქოში

---

[1] ინტერვიუ მიტროპოლიტ იოანესთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
[2] გიორგაძე მ. პატრიარქი და ეროვნული მოძრაობა, გვ. 122.

მუშაობდა და ხსენებული მოვლენების თვითმხილველიც იყო. მისი სიტყვებით: „ნოემბერში, როდესაც შიმშილობა იყო, პატრიარქთან კაბინეტში ვიყავით მე, პატრიაქი, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მთავრობა ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა პატრიარქზე, რომ იქნებ როგორმე დაეშალა მომიტინგეები და მშვიდობიანად წასულიყვნენ სახლში. პატრიარქი ეძებდა გამოსავალს, ცდილობდა, რომ ერთის მხრივ არც მთავრობა გაღიზიანებულიყო, არ დაღვრილიყო სისხლი და მეორეს მხრივ არ დაკარგულიყო ამ აქციების მთავარი შედეგი - ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება. პატრიარქის აზრით, აქციები და შიმშილობა უნდა შეწყვეტილიყო, რადგან მან თავისი შედეგი უკვე მოგვცა, ის ურჩევდა მოძრაობის ლიდერებს, რომ ხალხისთვის ფრთხილად მოეწოდებინათ დაშლისაკენ. ამ აზრს არ იზიარებდა ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა უფრო ეთანხმებოდა პატრიარქის მოსაზრებას“.[1]

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრის, მამუკა გიორგაძის თანახმად, 1988 წლის 28 ნოემბერს, „გვიან ღამით აქციაზე მისი უწმიდესობა მობრძანდა. ამ ქმედებით მან, ფაქტობრივად, დაძაბული ვითარება გადატეხა და პროვოკაციებიც შეწყდა. აქციის მონაწილეებისთვის სიტყვით არ მოუმართავს, ვიდრე საფრთხე არსებობდა, მოშიმშილეთა შორის მდუმარედ იდგა. დარწმუნდა რა აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებაში, დალოცა ისინი და წაბრძანდა“.[2]

საკავშირო ხელისუფლებამ მაშინ დათმობა ამჯობინა და უკან დაიხია. ამ მიღწევის შემდეგ ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო გააქტიურდა. 1989 წელს თბილისში დაიწყო მასობრივი გამოსვლები, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მოთხოვნაში გადაიზარდა. ათასობით მომიტინგე რუსთაველზე, პარლამენტის წინ, მოითხოვდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამ ამბების სიღრმისეული გაშუქება სცილდება ჩემი საკვლევი თემის ფარგლებს, თუმცა საჭიროდ მივიჩნევ, ყუადღება გავამახვილო ერთ მომენტზე, რაც საინტერესო იქნება

---

[1] არქიმანდრიტი ზაქარია ძინძიბაძე (ინტერვიუ ინახება ჩემთან, ჩაწერილია 2021 წელს).
[2] *გიორგაძე მ.* პატრიარქი და ეროვნული მოძრაობა, გვ. 123.

ეკლესიისა და ეროვნული მოძრაობის ურთიერთობის გაგებისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართე იმ ადამიანებს, ვინც უშუალოდ იყო დაკავშირებული ამ მოვლენასთან. ვეცადე მათგან მიმეღო დამატებითი ინფორმაცია. საინტერესოდ მეჩვენება ორი მათგანის - მიტროპოლიტ იოანეს (მაშინ მამა გურამი) და დეკანოზ ელიზბარ ოდიშვილის მონათხრობი.

მიტროპოლიტი იოანეს მიხედვით, „9 აპრილს, როდესაც საღამოს ლოცვა დამთავრდა, პატრიარქმა დაგვიბარა სამი მოძღვარი და დაგვავალა, წადით ზვიადს უთხარით, რომ შემოსულია სპეცრაზმი. მაქვს ინფორმაცია, რომ აპირებენ ხალხის დარბევას და იქნებ, როგორმე დაიშალოს ხალხი, საშიშროება ახლოვდება. მივედით და ვუთხარით, გადავეცით პატრიარქის წერილი. „ვერ დავშლი, ვიცი რომ შემოვიდა, მაგრამ ვერ დავშლიო, ხალხი ამას არ მაპატიებს“, - ეს იყო ზვიად გამსახურდიას პასუხი.

შემდეგ პატრიარქი თვითონ მივიდა აქციაზე, მიმართა ხალხს და თითქოს ხალხი განეწყო, რომ დაეჯერებინა პატრიარქისთვის და როცა ეს დაინახეს, ერთე-რთმა მათგანმა დაიყვირა არა! ჩვენ შევფიცეთ ერთმანეთს, რომ არ დავიშლებით! ეს იყო ერის, პატრიარქის და ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. მეორე დღეს დილით რომ დაგვინახეს სასულიერო პირები, ხალხი ჩვენს დანახვაზე ყვიროდა, რატომ არ გვითხრა პატრიარქმა რომ საშიშროება იყოო. ისევ პატრიარქს დააბრალეს...“ [1] იგივე ინფორმაცია დაადასტურა მამა ელიზბარმაც.

ზემოთ რამდენჯერმე დამოწმებული მამუკა გიორგაძე ასე ხსნის მომიტინგეთა საქციელს: „აქციის მონაწილეთა მხრიდან, რომელთაც გულწრფელად (და არა ეგზალტაციის გამო, როგორც ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ) მიაჩნდათ, რომ ღვთისა და ერის წინაშე თავის მოვალეობას ასრულებდნენ, გააზრებული და შეთანხმებული გადაწყვეტილების შეცვლა დროის სიმცირისა და დაძაბულობის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გადასვლაზე აქციის

[1] ინტერვიუ მეუფე იოანესა და დეკანოზ ელიზბართან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, ჩაწერილია 2021 წელს).

მონაწილეებმა უარი განაცხადეს. ... აქციის მონაწილეები სხვადასხვა გარემოების გამო პოლიტიკური მანევრის განხორციელების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ“.[1]

ის ფაქტი, რომ ქართველმა ხალხმა სისხლიანი დარბევა თავიდან ვერ აიცილა, რამდენადმე ეროვნულ მოძრაობასა და ეკლესიას შორის ერთიანობის არარსებობამაც განაპირობა. 9 აპრილის ღამე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 1989 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ასე შეაფასა: „იმ ღამეს საქართველომ იტვირთა და თავის თავზე მიიღო უმძიმესი დარტყმა. ის, რაც აქ მოხდა, სხვაგან, ალბათ, არ განმეორდება. საქართველომ იხსნა სხვა ერები ასეთი განსაცდელისგან. ესეც ღვთისგან ჩვენზედ დაკისრებული მისია იყო. ამისთვის ვმადლობთ ღმერთს“.[2]

9 აპრილის შემდეგ უთანხმოება წარმოიშვა ეკლესიასა და ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ ლიდერს შორს. პატრიარქი ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელი შეეწყო ეროვნული მოძრაობა გაერთიანებისათვის. მისი აზრით, აუცილებელი იყო დიალოგის დაწყება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის, ამიტომაც გამოვიდა ინიციატივით, რომ შედგენილიყო პარტიათა კამათის ეთიკის კანონები, დაეარსებინათ „იდეათა ბანკი“, „რომელიც მთელი სამართლიანობით განსჯის მათ და საბოლოოდ დაასაბუთებს ამა თუ იმ აზრის სისწორეს ან უმართებულობას“.[3]

საინტერესოა ეკლესიის პოზიცია, როდესაც 1990 წელს, საქართველოს ეროვნული მოძრაობა მრავალპარტიული არჩევნებისა და მისი მოწინააღმდეგე ეროვნული კონგრესის მომხრეებად გაითიშა. ჩემს შეკითხვაზე: „ვისკენ იყო ეკლესიის სიმპათიები - ეროვნული კონგრესის თუ არჩევნებში მონაწილე პარტიებისაკენ?“ - მიტროპოლიტმა იოანემ თავისი მოსაზრება ასე გამოთქვა: „ეკლესია არცერთ მხარეზე არ დგება, ეკლესიის, პატრიარქის პოზიცია იყო - მე საქართველოს მხარეზე ვარ და ეკლესია ყველა მხარისაა. ეკლესია წინააღმდეგია გაყოფის, ეკლესიას ლოცვას

---

[1] *გიორგაძე მ.* პატრიარქი და ეროვნული მოძრაობა, გვ. 124.

[2] ილია მეორის 1989 წ. სააღდგომო ეპისტოლე. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=18962&amonaridi=18983[უკანასკნელად გადამოწმდა 20. 05. 21].

[3] ილია მეორის 1990 წ. სააღდგომო ეპისტოლე. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo1990.htm [უკანასკნელად გადამოწმდა 20. 06. 2021].

სამართალს, მშვიდობას და ერთიანობას. ამას მოუწოდებდა პატრიარქი ორივე მხარეს. ეკლესიის შვილი ყველაა და სამწუხაროდ ეს პოზიცია არ ესმით. ამ გაყოფებში პატრიარქი არ მონაწილეობდა, ეკლესიას შორს იდგა გაყოფისაგან. შეიძლება ზოგიერთი სასულიერი პირი იყო ან იქით ან აქეთ მხარეს, მაგრამ ეს არ იყო ეკლესიის პოზიცია".[1]

პატრიარქმა გამოიჩინა დიპლომატიური მიდგომა და 1990 წლის 30 სექტემბრეს, სპორტის სასახლეში, დალოცა ეროვნული ყრილობის მონაწილენი, რომლებმაც კონგრესი აირჩიეს. პატრიარქმა ბრძანა: „არავის აქ უფლება იფიქროს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ მას უყვარს საქართველო, საქართველო ყველას უყვარს, უნდა ყველა ერთად ვიყოთ, მხრში ამოვუდგეთ ერთმანეთს", ბოლოს კი საჩუქრად ბიბლია გადასცა. ამით პატრიარქმა ხაზი გაუსვა, რომ უნდა დასრულებულიყო გათიშულობა.

პატრიარქი ასევე მივიდა საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1990 წლის 14 ნოემბერს. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა დეპუტატებს. „მე მინდა მოგილოცოთ ეს დღე და დაგლოცოთ, გადმოგცეთ ბიბლია, რომელიც არის წიგნი ცხოვრებისა, ამასთან ერთად მე მინდა გადმოგცეთ ხატი აღდგომისა, რომელიც ჩამოტანილია იერუსალიმიდან და ეს არის სიმბოლო უფლის აღდომისა, ის სიმბოლო, რომელიც მოასწავებს საქართველოს აღდგომას, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ". [2]

---

[1] მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი (ინტერვიუ ინახება ჩემთან, 2021 წელი)

[2]https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fyoutu.be%2FHUc-5MDjrzE%3Ffbclid%3DIwAR09fpyH9Sel9uqpJoq7IQU9X05p1857ijWRVxPDCdjbAkIyaffE1qLD7nw&h=AT2KcZLt8kXvE7GCDG5eyP_sB9QkTFoD0qQBzL4Ka8SNa7qzgCjgszX-4OLV-q6mlvTnwjNBxC2vCoEBGePS6KNAZGmD4s9SoLmLwh9QPMaA2ygVWEq-VhpzJAM7OE4H_1hdiVmV1z-aV8s[უკანასკნელად გადამოწმდა 09. 06. 2021].

III თავი: ეკლესია და სახელმწიფო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში

2.1 სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში საბჭოთა რეჟიმი მშვიდობიანი, მრავალპარტიული არჩევნების გზით შეიცვალა, ხელისუფლებას ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ ბლოკი დაეუფლა, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა. იგი თავიდან ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

ზვიად გამსახურდია საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოვიდა. ეროვნული მოძრაობა კი თავისი საწყისებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული „რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან“. ამის აღნიშვნა იმ მხრივაც არის აუცილებელი, რომ მისი ხელისუფლების პერიოდში ახლადაღდგენილი ქართული სახელმწიფოს მიმართება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი გარკვეულად ეროვნული მოძრაობის სულისკვეთებამაც განაპირობა. ეს მკაფიოდ ჩანს ზვიად გამსახურდიას წინასაარჩევნო პროგრამაში, რომელიც საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის პერიოდში გამოქვეყნდა 1991 წლის მაისში და განმეორდა პრეზიდენტის საინაგურაციო სიტყვაშიც, იმავე წლის 7 ივნისს.

ორივე ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „ეროვნული ხელისუფლების ავტორიტეტი, მისი ძალაუფლება უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად რელიგიურ-ზნეობრივ საწყისებს“.

პროგრამის თანახმად, აღდგება ქრისტიანული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობა; სახელმწიფო

უზრუნველყოფს ეკლესიის უფლებას, აქტიურად ჩაერთოს საერო ცხოვრებაში; ხელს შეუწყობს ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას; გაუწევს მას ფინანსურ დახმარებას საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვასა და საეკლესიო სასწავლებლების გახსნაში. აღდგება საეკლესიო საკუთრება მიწაზე და სხვა. საარჩევნო პროგრამა ითვალისწინებდა სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა უფლებებს, აცხადებდა, რომ: „მოქალაქეთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. ქართული სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა“.[1]

ზვიად გამსახურდიას ხედვით, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოში სახელმწიფო და ეკლესია, ეკლესია და სკოლა კი არ უნდა გაემიჯნათ ერთმანეთისაგან, არამედ უნდა უზრუნველეყოთ მათი ბუნებრივი კავშირი, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარებოდა. „ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას; – სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა“, - განაცხადა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავის საინაგურაციო სიტყვაში.[2]

ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამხდარიყო. მისკენ სვლა რელიგიური მსოფლმხედველობის აღორძინებით უნდა დაწყებულიყო, რომელიც „ზნეობრივ აღორძინებას, ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებას“ დაეფუძნებოდა. დეკლარირებული საკვირაო სამრევლო სკოლებისა

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ., 22 მაისი.
[2] https://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=191&id=43298 [უკანასკნელად გადამოწმდა 21. 02. 2021].

და უმაღლეს სასწავლებლებში თეოლოგიური ფაკულტეტების შექმა სწორედ ამ მიზანს უნდა მომსახურებოდა. [1]

უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას თავის არც ერთ გამოსვლაში და არც პუბლიკაციებში ვრცლად არ განუვრცია მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების არსი, არ დაუკონკრეტებია ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელი, რომელიც ზოგადად ასე წარმოედგინა: „არც სამღვდელოება უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს საქმიანობაში და არც სახელმწიფო - სამღვდელოების სულიერ ცხოვრებაში, თუმცა სასურველია არსებობდეს მკვიდრი საფუძველი მათი თავისუფალი, მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობისათვის მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამისთვის კი საჭიროა არამხოლოდ თავისუფალი სახელმწიფო, არამედ სასულიერო ხელისუფლების განთავისუფლებაც ყოველგვარი ძალაუფლებრივ-პოლიტიკური და პირადულ-ეგოისტური ინტერესებისაგან“.[2]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნულ მოძრაობასა და მის მესვეურებში ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო შეეცვალა, როგორც საქართველოს, ისე მისი ეკლესიის ბედიც. ეროვნულ ხელისუფლებას კი ეკლესიის სახით ჰყავდა ძლიერი დასაყრდენი თავისუფლების გზაზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1990 წლის 12 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, „საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა, უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა. მალევე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მართმადიდებელი ეკლესიისათვის ქონების დაბრუნების პროცესი დაიწყო.

---

[1] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), თბ., 2013, გვ. 39.
[2] *გამსახურდია კ. (კონსტანტინე, შვილიშვილი),* დინების საწინააღმდეგოდ, თბ., 1997. https://www.davitisgza.info/content.php?news=1207[უკანასკნელად გადამოწმდა 19. 04. 2021].

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა აქტიურმა წარმომადგენელმა პაატა კოღუაშვილმა საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთად წამოაყენა წინადადება ეკლესიისთვის 1918 წლისთვის არსებული მონაცემების საფუძველზე ტოლი რაოდენობის მიწების (24 ათასი ჰა) გადაცემის შესახებ. მოგვიანებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა 22 ათასი ჰა მიწა, რამდენიმე საწარმო და საბჭოთა მეურნეობა.[1]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განახლების შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღორძინება განიცადა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტსაბჭოთა ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირებაში. ეკლესიამ ასევე შეძლო საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად გაჩენილი იდეური ვაკუუმის შევსება. მან თავისი გავლენითა და ავტორიტეტით, რაც მნიშვნელოვანწილად მის ისტორიულ ღვაწლს ეფუძნებოდა, ეკლესია ერთგვარი გამაერთიანებელი ძალით ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდაც იქცა.[2] ზოგიერთი უცხოელი მკვლევრის დაკვირვებით, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში მართლმადიდებლური ქრისტიანობა გახდა ქართული ეროვნული თვითმყოფადობის განუყოფელი ნაწილი.[3]

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გარეგნულად კეთილგანწყობილი და ჰარმონიული ურთიერთობა არსებობდა. 1990 წლის 14 ნოემბერს, როდესაც გაიხსნა ახლადარჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია, იგი დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ. თავის მხრივ, ზვიად გამსახურდიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის

---

[1] *წერეთელი კ.* საქართველოს ეკლესიის არუაცხელი ქონება და უკიდეგანო გავლენა. https://nation.ge/index.php?m=5&news_id=11&lng=geo[უკანასკნელად გადამოწმდა 12. 06. 2021].

[2] *Eastwood W.* Georgian Baptists: Church Reform, Orthodox Christianity, and National Belonging. Doctorate Thesis. Indiana University, 2010, p. 61.

[3] *Aydıngün A.* Ethnifi cation and Nationalization of Religion in Post-SovietGeorgian Nation-State Building Process: Source of Discrimination andMinority Rights Violations? International Journal of Human Rights,17 (7-8), 2013, p.p. 810-828.

ილია II-ის საგანგებო ბრძანებას, რომელიც გმობდა კაცთა კვლას, როგორც უმძიმეს დანაშაულს ერის წინაშე.[1]

აქვე, ვფიქრობ, საინტერესოა ერთი დეტალი, რომელიც გამიზიარა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, რომელიც იყო 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოდან“. მისი თქმით, ზვიად გამსახურდიამ მას დაავალა, პატრიარქისთვის ეთხოვნა, რომ დასწრებოდა ბიბლიაზე ხელდადებით პრეზიდენტის დაფიცებას. „თქვენ ხომ იქნებით მამა არჩილ? ჩემი კურთხევით. ვფიქრობ სავსებით საკმარისია“ - მითხრა უწმინდესმა, თუმცა საბოლოოდ მაინც დავარწმუნე, რომ დასწრებოდა ფიცის დადების ცერემონიალს. გარკვეული ძალები მუშაობდნენ, რომ ზვიდსა და პატრიარქს შორის ურთიერთობა დაძაბულიყო“.[2]

„ზვიად გამსახურდია იბრძოდა ეკლესიის განთავისუფლებისათვის სუკ-ის დიქტატისგან“. მან ასევე, წინა პლანზე წამოსწია საეკლესიო სასამართლოს (დიკასტერიის) აღდგენის იდეა, რომელიც ჯერ კიდევ 1927 წელს გაუქმდა საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად, მაგრამ ამ საქმეში საპატრიარქოს თანადგომა ვერ ჰპოვა.[3]

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება საშინაო და საგარეო ფაქტორებით განპირობებული მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. არასაპარლამენტო ოპოზიციის გარდა, მას ურთიერთობა საქართველოს ეკლესიის მეთაურთანაც დაეძაბა. საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, მიზეზი მრავალი იყო. მათ შორის სახელდება ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში გაძლიერდა სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი, დამოუკიდებლობის პერიოდში კი მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურთა კონტინგენტი შეივსო ახალი კადრებით, რომელთა დიდ ნაწილსაც არ გააჩნდა სათანადო რელიგიური განათლება

---

[1] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I, გვ. 37.

[2] ინტერვიუ დეკანოზ არჩილ მინდიაშვილთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).

[3] *გამსახურდია კ. (კონსტანტინე, შვილიშვილი),* დინების საწინააღმდეგოდ, თბ., 1997. https://www.davitisgza.info/content.php?news=1207 [უკანასკნელად გადამოწმდა 19. 04. 2021].

და ხშირად მერკანტილური მოსაზრებებით, საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით მიდიოდა ეკლესიაში.[1]

ზვიად გამსახურდია ცდილობდა ეკლესიის უფრო აქტიურ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში, მეტიც ის ერთგვარ მხადაჭერასაც კი სთხოვდა პატრიარქს ოპოზიციის წინააღმდეგ. როგორც ირკვევა, ზვიად გამსახურდია ერეოდა შიდა საეკლესიო საქმეებში და პატრიარქს მიუთითებდა, ვინ უნდა გაეშვა ეკლესიიდან და ვინ არა, სთხოვდა ასევე სასურველი ადამიანების მღვდლად და მღვდელმთავრად კურთხევას. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მომენტს იხსენებს ქუთაის-გაენათის ეპარქის მმართველი, მღვდელმთავარი მეუფე იოანე.

„როგორც კი ზვიადი გახდა პრეზიდენტი, ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა პატრიარქთან, დიდხანს იყო მასთან პირისპირ, რამდენიმე საათი და ბოლოს ბატონმა ზვიადიმ კარები გაიჯახუნა და წავიდა გაბრაზებული. დედებმა კითხეს უწმინდესს, რა მოხდა უწმინდესო? რამდენი ხანი ილაპარაკა და სიტყვა ვერ ჩავსვიო, - მეუბნეოდა ეხლა ეს მღვდელი გაუშვი, ეხლა ეს მღვდელმთავარი აკურთხე. მე ვუსმინე, ვუსმინე და ბოლოს ვუთხარი: „ბატონო ზვიად, თქვენ ბევრი საქმე იქა გაქვთ და აქ მე მივხედავო“. იქ პარლამენტში და მთავრობაში უამრავი მოღალატე ჰყავდათ, რომელთაც გაწირეს ზვიადი და უღალატეს. ამის შემდეგ ფაქტობრივად ზვიად გამსახურდიამ შავი ხაზი გადაუსვა პატრიარქთან ურთიერთობას. არადა პატრიარქმა პირიქთ გააფრთხილა იგი, მოსალოდნელი საშიშროების გამო“.[2] ამ ინფორმაციის ნამდვილობას ფაქტობრივად ადასტურებს უზენაესი საბჭოს წევრი არჩილ მინდიაშვილიც, რომლის თქმითაც, ზვიად გამსახურდიამ, მასთან შეუთანხმებლად, პატრიარქს სთხოვა ჩემი მღვდელმთავრად გამორჩევა, რაზეც პატრიარქისგან უარი მიიღო. ეს ინფორმაცია მაშინ თავის პარტიულ ჟურნალში დაბეჭდა გია ჭანტურიამ. მეტიც, - ის წერდა რომ თითქოს ზვიადის ჩემი პატრიარქად კურთხევა უნდოდა,

[1] სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა: 07. 04. 2020].

[2] ინტერვიუ მეუფე იოანესთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, ჩაწერილია 2021 წელს).

რითაც ფაქტობრივად დიდი უთანხმოება და უნდობლობა წარმოიშვა ზვიდსა და უწმინდესს შორის.[1]

დაპირისპირებდა იზრდებოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ასეთ რთულ ვითარებაში უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ეკლესიის პოზიცია და მისი აქტიური ჩაართვა, ქვეყნის პატრიარქი ყველაზე უკეთ გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეებს და აფრთხილებდა როგორც პოლიტიკურ პარტიებს ისე მოსახლეობას. განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა მისი 1991 წლის 23 დეკემბრის მიმართვა, რომელშიც აღნიშნულია: „უმძიმესია დღევანდელი მდგომარეობა, საქართველო მისულია დაღუპვის პირამდე, იღვრება ქართველთა სისხლი. საქართველოს ემუქრება სამოქალაქო ომი, მოვუწოდებ დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისკენ...თავიდან ავიცილოთ ძმათა სისხლისღვრა.. ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს: გამოიჩინეთ სიბრძნე და იგრძენით პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე“.[2]

საქართველოს ეკლესიამ დაიწყო მოლაპარაკებეში შუამავლის როლის კიდევ უფრო გააქტიურება, რაც ჩემთან ინტერვიუში დაადასტურა მიტროპოლიტმა დანიელმა. მისი სიტყვებით: „დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეკლესიასა და ეროვნულ მოძრაობას შორის დაიძაბა ურთიერთობა, ხელისულებას მიაჩნდა, რომ ეკლესიას მთლიანად ხელისუფლებისთვის უნდა დაეჭირა მხარი და ოპოზიცია გამოეცხადებინა, როგორც დამნაშავე ორგანო, ძალიან ძნელი იყო პატრიარქისთვის ასეთი პოზიციისს მხარდაჭერა, ერი შუაზე იყო გაყოფილი, ერთი მხარისკენ დადგომა გამოიწვევდა მეორე მხარის განადგურებას, პატრიარქმა ყველაზე კარგი საშუალება გამონახა, შესთავაზა ორივე მხარეს, რომ ეკლესიას იქნებოდა შუამავლი, რასაც ორივე მხარე დასთანხმდა.“[3]

ამ საკითხზე უფრო მეტი დეტალი მითხრა მამა გურამმა (ამჟამად მეუფე იოანე). „საპატრიარქოში შუა ღამეს იწყებოდა შეხვედრები, შუაში იჯდა პატრიარქი,

---

[1] ინტერვიუ დეკანოზ არჩილ მინდიაშვილთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
[2] *მეტრეველი რ.* სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის მაგალითი, თბ., 2014, გვ. 145.
[3] ინტერვიუ მეუფე დანიელთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, 2021 წელი).

ერთ მხარეს პოზიცია და მეორე მხარეს ოპოზიცია. მეც ვესწრებოდი ამ შეხვედრას. რამდენიმე საათი გრძელდება შევხედრა, იყო აზრების გაცვლა-გამოცვლა, პატრიარქი თავის წინადადებებს დებდა მოლაპარაკების მაგიდაზე – ორივე მხარეს შეენარჩუნა პოზიციები, შეჩერდეს გამოსვლები, პრეზიდენტმა გააკეთოს განცხადება, რომ ხალხი წავიდეს სახლში, განთავისუფლდეს პოლიტპატიმრები, აღიარებულ იქნას ოპოზიცია.. თითქოს ყველა თანხმდებოდა, თუმცა მეორე დღეს იმის საპირისპირო ქმედებები ხდებოდა. პატრიარქმა ბოლოს უთხრა: უჩემოდ გააგრძელეთ შეხვედრები, თქვენ მე არ მისმენთო. იგი გძნობდა რომ უკვე შეუძლებელი იყო დაპირისპირების შეჩერება".[1] სამწუხაროდ, ასეც მოხდა, ქვეყანამ ვერ აიცილა სამოქალაქო კონფრონტაცია.

სიტუაცია გამწვავდა 1991 წლის შემოდგომაზე, როდესაც სპეცსამსახურის ნაწილებმა 2 სექტემბერს კინოს სახლთან შეკრებილი ოპოზიციის მიტინგი დაარბიეს. იყვნენ დაჭრილებიც.[2]

სექტემბრის თვე საკმაოდ მძიმედ განვითარდა. პროცესებს გამოეხმაურა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსმთავარი ილია II, რომელმაც 1991 წლის 21 სექტემბერს შემდეგი სამშვიდობო მიმართვა გაავრცელა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ თავის მწვერვალს მიაღწია. ქართველი დაუპირისპირდა ქართველს, მოსალოდნელია ძმათა შორის სისხლისღვრა. არ უნდა მოხდეს ეს სამარცხვინო ფაქტი, ნუ ჩავიდენთ საშინელ ცოდვას ღვთისა და ერის წინაშე. ამიტომ მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი თქვენს შორის და მშვიდობიან ვითარებაში გადაწყდეს ყველა სადავო საკითხი. თუ იქნება თქვენი სურვილი, მე მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ დიალოგში. გამოვთქვამთ იმედს, რომ ღვთის შეწევნით და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობით,

---

[1] ინტერვიუ მეუფე იოანესთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, 2021 წელი).

[2] *მუსხელიშვილი დ. სამსონაძე ა. დაუშვილი ა.,* საქართველოს ისტორია: მთელი ქვეყნის ისტორია ერთ წიგნში, თბ., 2012, გვ.524-525.

დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია ეროვნული თანხმობით დამთავრდება. ღმერთმა დაგლოცოთ“.[1]

იმავე სექტემბრის თვეში მედიატორის როლის შესრულების მცდელობა იყო პატრიარქის მიერ ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიწვევა საპატრიარქოში და რიგი საკითხების განხილვის შეთავაზება. პატრიარქმა ოპონენტებს შემდეგი საკითხების განხილვა შესთავაზა: „1. ორივე მხარემ შეინარჩუნოს პოზიციები, 2. შეჩერდეს გამოსვლები, 3. პრეზიდენტმა გააკეთოს განცხადება, რომ ხალხი წავიდეს სახლებში, 4. დაინიშნოს უზენაესი საბჭოს სესია, 5. ტელევიზიაში დაინიშნოს ოპოზიციის საათი, 6. განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, 7. აღიარებული იქნას ოპოზიცია“.[2] სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ მოხერხდა. დეკემბრის ბოლოს თბილისში საშინელი დაპირისპირება დაიწყო, რომლის შეჩერებაც შეუძლებელი გახდა.

დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე ხსენებულ მოვლენათა დეტალებს ასე იხსენებს: „პატრიარქმა დაგვვიბარა მე და მამა დავითი (ამჟამად მეუფე დიმიტრი): პატრიარქმა გვითხრა, წავსულიყავით ზვიადთან და გვეკითხა, კიდევ რა გააკეთოს ეკლესიამ, რომ ძმათა შორის სიხლისღვრა შეჩერდეს. შევხვდით ზვიადს პარლამენტში, საუბრის დროს შემოვიდა მისი ცოლისდა. საუბარი დაახლოებით ორი საათი გრძელდებოდა. თავდაპირველად ზვიადი ითხოვდა, რომ ეკლესია (გულისხმობდა პატრიარქს) მოვიდეს და შუაში ჩადგეს, თუმცა საუბრის ბოლოს ისევ უარი თქვა და სიტყვა-სიტყვით ასეთი რამ გვითხრა: „არა, არ მოხვიდეთ, მე ვიცი, რომ ჩვენ არ გესვრით, ისიც ვიცი რომ ისინიც არ გესვრიან, მაგრამ ეს ყველაფერი ვინც წამოიწყო (გულისხმობდა გარე ძალებს), შეიძლება მათ გესროლონ და ამასაც მე დამაბრალებენ“.[3]

---

[1] *დეისაძე-შარვაშიძე ლ.* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80 - იანი წლებიდან დღემდე), გვ.167-168.

[2] *ვარდოსანიძე ს.* XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011, გვ.164.

[3] ინტერვიუ მამა ზაქარია ძინძიბაძესთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, 2021 წელი).

საბოლოოდ სამოქალაქო დაპირისპირება მთავრობის დამხობით დასრულდა, ზვიად გამსახურდიას მოუწია ქვეყნის დატოვება.

დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ პატრიარქი ახალისებდა პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებს, მეტიც, გარკვეული ჯგუფები დღემდე ამტკიცებენ, რომ ქაშვეთის ტაძარში ინახებოდა იარაღი, ასევე ქაშვეთიდან ისროდნენ მთავრობის სახლის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით ვკითხე ამ ტაძრის მაშინდელ მოძღვრებს, მამა პავლეს (ამჟამად მეუფე ნიკოლოზი) და მამა ელიზბარს, რომელთა არგუმენტებიც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება:

„როდესაც სამოქალაქოდა დაპირისპირება დაიწყო ვმსახურობდი ქაშვეთის ტაძარში, მინდა გითხრათ, რომ აფსურდია, რომ ეკლესიაში ინახებოდა იარაღი, მაშინ ყველაზე დიდი გავლენა იქონია ჩემზე იმან, რომ ეკლესიის გუმბათს ესროდნენ იარაღს, ესროდა ორივე მხარე, დღემდე მაქ შენახული გუმბათიდან ჩამოვარდნული ნატეხები. თავის მხრივ კი წარმოუდგენელია გუმბათიდან ვინმეს ესროლა, რომელიმე მხარისთვის, მიუხედავად ამისა მაინც ესროდნენ ეკლესიას. ერთხელ, გამსახურდიას მოწინააღმდეგებმა ქაშვეთის ეკლესიის ეზოში შემოაგორეს ქვემეხი, ჩვენ მაშინვე გავატაინეთ, არ მივეცით უფლება ეკლესიის ეზოში ქვემეხი მდგარიყო. მახსოვს ეს ხმები მაშინ მასიურად ვრცელდებოდა და შემდეგ რამდენჯერმე შემოვარდნენ კიდეც, ეძებდნენ იარაღს, თუნცა რა თქმა უნდა ვერ ნახეს, რდგან ეკლესიაში მსგავსი რამ არ ინახებოდა. ეკლესია დაკეტილი იყო, აქ შენობა შენდებოდა. მე და გუჯა ბურდულმა პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შევაჩერებინეთ ორივე მხრიდან სროლა და ჩემი მანქანით შემოვედით აქ, რომ მენახა რა მდგომარეობა იყო ქაშვეთან. ტყვებს ისროდნენ, მეც ლამის მომხვდა, აი, ახლაც კედელზეა ის ნატყვიარი. ეკლესია კი არ ესროდა სახელმწიფოს, აგერ იქ ნათურა რომ არის, იქ დააყენეს ტანკები და იქიდან ისროდა კიტოვანი. ...სრული პასუხიმგებლობით ვამბობ რომ, ეკლესიიდან არავითარი სროლა არ ყოფილა და აქ არავითარი იარაღი არ ინახებოდა. ტაძრის გასაღები ინახებოდა საპატრიარქოში და იმ პერიოდში საერთოდ არ გაღებულა ტაძრის კარები. მე ორივე მხარეს ვუთხარი, ნუ

აბრალებთ ეკლესიას, აგერ ეკლესიის ერთ მხარეს დგახართ თქვენ და მეორე მხარეს არიან ისინი და ესვრით ერთმანეთს. გაანებეთ თავი ეკლესიას... პირადად მე და ზაქარია ძინძიბაძე „ბუნკერში“ ვიყავით ჩასული ზვიად გამსახურდიასთან და პირადად გადავეცი პატრიარქის წერილი. იქ დამხვდა რაჭის ეპსკოპოსი ამბროსი და პირდაპირ ვუთხარი, არ გრცხვენიათ? აქა ხართ და ასეთ რამეს კადრულობთ და არაფერს აკეთებთ დაპირისპირების შესაჩერებლად. პატრიარქს ლიკვიდაციითაც კი ემუქრებოდნენ, რომ მამლის ყივილამდე დაეცემოდა“.[1]

სამოქალაქო დაპირისპირებამ მძიმე შედეგი მოუტანა ქვეყანას, დაემხო კანონიერი ხელისუფლება, ორად გაყო ქალაქი, სოფელი, ოჯახი, ორად გაიყო მრევლიც. უდიდესი იყო ეკლესიის როლი, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ორად გაყოფილი მოსახლეობა. ეს არ იყო ადვილი, რადგან პრეზიდენტის მომხრეები და თვითონ პრეზიდენტიც ეკლესიის მეთაურს ადანაშაულებდნენ უმოქმედობაში, ისინი ეკლესიისგან უფრო მეტ მხარდჭერას ითხოვდნენ, აი, რას ამბობდა ზვიად გამსახურდია 1991 წელს, „რადიო თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„პატრიარქს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი პოზიცია, მაშინ როცა შეიარაღებული დაჯგუფებები იბრძვიან კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს არის პუტჩი, ეს არ არის ოპოზიცია, პატრიარქს ამაზე უნდა ჰქონდეს რეაქცია, ის ლაპარაკობს შერიგებაზე და რაღაც მეორე ხარისხოვან თემებზე“.[2]

პატრიარქის პოზიცია კი შემედეგი იყო: „მე არცერთი მხარეს არ ვარ, მე საქართველოს მხარეს ვარ, ღირსეული და უღირსი შვილებიც ჩემი შვილები არიან. განა შეიძლება ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე

---

[1] ინტერვიუ მეუფე ნიკოლოზთან და მამა ზაქარია ძინძიბაძესთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, 2021 წელი).

[2] რადიო თავისუფლება. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Ffb.watch%2F6tYhfp57SQ%2F%3Ffbclid%3DIwAR3xukLARZ5P2287-BJpQOCInRvfuJX7X76TVusQK86cfkY5YDhiWMqJA5M&h=AT0a0ApkIMmArx6vd7vXHxKrGZ_lZDpk-BdMBl0SIlpxNv2EeYz7LTxOyOjeLutpMom8xbu259Nhr8vW9EvRHVSDyF2a9uHWCeEBdBrRN9WHSoMeHSiB0zQNKtjQn5o-u3nr [უკანასკნელად გადამოწმდა 10. 06. 2021].

მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორეს გასანადგურებლად?“[1]

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობამ საქართველოში მცირე ხანს გასტანა. მის მიერ დაფუძნებული „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ ხელისუფლება 1992 წლის 6 იანვარს სახელმწიფო გადატრიალების გზით დაემხო. განუხორციელებელი დარჩა ბევრი საინტერესო წამოწყება თუ ჩანაფიქრი. მოკლე დროში სრულად, ცხადია, ვერც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელი გამოიკვეთა. უარყოფილ იქნა იდეაც მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ.

[1] *ვარდოსანიძე ს.* სრულიად საქართველოს კათოლიკოს-ატრიარქი ილია მეორე, თბ., 2008, გვ. 275.

3.2 კონკორდატი - კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

1991-1992 წლების მიჯნა მძიმე აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრივი ისტორიისათვის. ქვეყანაში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დამხობა მოჰყვა. ძალაუფლება გადავიდა სამხედრო საბჭოს ხელში, რომელსაც მოგვიანებით სახელი შეეცვალა და სახელმწიფო საბჭო დაერქვა. სამხედრო საბჭო არ იყო ლეგიტიმური ხელისუფლება. სახელმწიფო სტრუქტურების მოშლის პარალელურად, იზრდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი. ეკლესია ცდილობდა გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანებას, ამ პერიოდში ასპარეზე აქტიურად ჩნდება საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც 1992 წლის 7 მარტს, სამხედრო საბჭოს მოწვევით, საქართველოში დაბრუნდა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მიიჩნეოდა, რომ ედუარდ შევარდნაძე „რესპექტაბელობას შემატებდა არალეგიტიმურ ხელისუფლებას, ხოლო მისი საერთაშორისო კავშირები საქართველოს დიპლომატიურ აღიარებას შეუწყობდა ხელს“.[1]

ეს ასეც მოხდა: 1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველო თავის 179-ე წევრად მიიღო. 1992 წლის 11 ოქტომბერს კი ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციის მიზნით, ჩატარდა პარლამენტისა და სახელმწიფო მეთაურის არჩევნები. სახელმწიფო მეთაური გახდა ედუარდ შევარდნაძე. დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

ედუარდ შევარდნაძემ ქართული ეკლესიის მიმართ თავისი კეთილგანწყობა თავიდანვე გამოამჟღავნა. „თბილისში დაბრუნებული ე. შევარდნაძე პირველად სიონის საპატრიარქო ტაძარში მივიდა და ამით ყველას მიანიშნა, რომ საქართველოს

---

[1] *გაჩეჩილაძე რ.* საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა, თბ., 2017, გვ. 463.

მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საქართველოს სახელმწიფოს გაუჭირდებოდა მრავალრიცხოვანი სერიოზული პრობლემების მოგვარება“.[1]

ამის მიუხედავად, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა და ხელისუფლებაში დაბრუნება დიდ გაღიზიანებას იწვევდა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებში. მათი უკმაყოფილება ასევე, მიმართული იყო საქართველოს ეკლესიის მეთაურისკენაც, რომელსაც უყენებდნენ პრეტენზიას, რომ შევარდნაძის ჩამოსვლას გარკვეულწილად მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიამ. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი ჩემთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „პატრიარქი ეძებდა ზვიადის შემცვლელს და მან იგი იპოვა შევარდნაძის სახით“. განსხვავებულია სხვა ქართველი მღვდელმთავრების მოსაზრებები.

მიტროპოლიტი იოანე მიიჩნევს, რომ „ეკლესიას არანაირ ინტერესი არ ჰქონია შევარდნაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ეს იყო ზვიადის ოპოზიციის გეგმა, მათ შორის გარე ძალების გეგმა. მეტიც, - გვერდში ვინ დაიყენა? ჯაბა იოსელიანი, კიტოვანი, ესენი მისი მართული ხალხი იყო, ესე იგი მათ მოუმზადეს გზა...“.[2]

მიტროპოლიტი დანიელის სიტყვებით: „პატრიარქს არ უნდოდა ხელისუფლების ცვლილება, მიუხედავად იმისა რომ, ზვიადს ჰქონდა გარკეული ჩარევის მომენტები ეკლესიაში. პატრიარქი ცდილობდა მისი ძალა არ მიემართა ზვიდის წინააღმდეგ, ზვიადის კი სურდა პატრიარქის ძალა ყოფილიყო მის მხარდასაჭერად. პატრიარქმა შეიძლება განჭვრიტა, რა შეიძლებდა მოხდეს, მაგრამ პატრიარქს მოენახა ვინმე, - ეს არის ტყუილი, პატრიარქი ყოველთვის მზადაა მიიღოს ნებისმიერი ხელისუფლება, ის ელოდება უფლის განგებულებასა და ემორჩილება მას“.[3]

---

[1] *ვარდოსანიძე ს.* საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია XIX – XX საუკუნეებში, თბ., 2010, გვ. 218.

[2] ინტერვიუ მიტროლოიტ იოანესთა (ინტერვიუ ინახება ჩემთან).

[3] ინტერვიუ მიტროპოლიტ დანიელთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან).

ქვეყნის ახალი ხელისუფლების წინაშე არაერთი პრობლემა იყო, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. 1992 წ. 14 აგვისტოს დაიწყო ომი აფხაზეთისათვის, რომელიც რეალურად რუსეთ-საქართველოს ომს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ომის მიმდინარეობისას ქართული ეკლესიას აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ხელისუფლებას. უწმინდესი და უნეტარესი ილია II მიიჩნევდა, რომ უმძიმესი ვითარებიდან საქართველოს გამოსაყვანად აუცილებელი იყო ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერა და არა კომუნისტური წარსულის გამო მისი კრიტიკა. კათოლიკოს-პატრიარქმა არაერთხელ გამოხატა თავისი თანადგომა. 1993 წელს მან საგანგებო წერილებით მიმართ გაეროს გენერალურ მდივანს, რუსეთის პრეზიდენტსა და პატრიარქს და მოუწოდა მათ, სწორად შეეფასებინათ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები და სასწრაფოდ მიეღოთ ზომები სისხლისღვრის შესაწყვეტად.

ედუარდ შევარდნაძესა და პატრიარქს შორის თბილი ურთიერთობა არსებობდა. 1993 წლის 31 დეკემბერს, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა შევარდნაძემ ასე მიულოცა ახალი წელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს: „ძვირფასო ბატონო ილია, აფხაზეთში გამგზავრების წინ გადავწყვიტე ორიოდე სიტყვით შეგეხმიანოთ და ახალი წელი მოგილოცოთ, თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ვუსურვო, რომ ასეთი მძიმე წელი აღარ განმეორებულიყოს საქართველოს მომავალ ისტორიაში. პირადად თქვენ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის, თქვენი ლოცვა-კურთხევისათვის, რომელიც რწმენას, ძალასა და ენერგიას მატებს ჩვენ მრავალტანჯულ ხალხს. გილოცავთ ახალ წელს“.[1]

ედუარდ შევარდნაძის დამოკიდებულებას ეკლესიისადმი მკაფიოდ და ნათლად გამოხატავს მის მიერ გამოცემული განკარგულებები. საქართველოს პრეზიდენტის რანგში გამოცემული განკარგულება 145 ითვალისწინებდა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებებს; განკარგულება

[1] *ვარდოსანიძე ს.* სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, გვ. 219.

205 - წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აღდეგნით სამუშაოებში მონაწილე მშენებელთა ჯგუფის საქართველოს ღირსების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებას; განკარგულება (743) 407 - საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურებში რელიგიისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების განყოფილების შექმნას.[1]

1997 წელს საქართველოს ეკლესიისთვის მძიმე დროება იდგა. სასულიერო პირთა გარკვეული ნაწილი წყვეტდა საქართველოს საპატრიარქოსთან ევქარისტიულ კავშირს იმ მოტივით, რომ საპატრიარქო, მათი შეფასებით, მწვალებლურ ეკუმენურ მოძრაობაში იყო ჩართული. 1997 წელს საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებმა საზოგადოება შეაშფოთა. მოვლენებზე კომენტარი გააკეთა პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ. მან განაცხადა: „უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ქრისტიანობამ გადაარჩინა. ჩემთვის, როგორც ჭეშმარიტი მორწმუნე ადამიანისთვის და პრეზიდენტისთვის, ყოვლად მიუღებელია საუბარი ეკლესიაში განხეთქილების შესახებ. მე მჯერა, საქართველოს პატრიარქის, წმინდა სინოდისა და მრევლის სიბრძნის. ღმერთი დაგვიფარავს ჩვენ და საქართველოს“.[2]

საპატრიარქოს მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტმაც.[3]

ედუარდ შევარდნაძის საქართველოს პატრიარქისადმი გულთბილი და მხარდამჭერი დამოკიდებულების გამოხატულება იყო 1997 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაჯილდოება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი ჯილდოთი - „წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენით“.[4] პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „ძნელია ეს გზა, ერისა და ყოველი ჩვენგანის

---

[1] *აბზიანიძე ა.* საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, თბ., 2006, გვ. 121.

[2] *გიორგაძე ლ.* საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004), თბ. 2004, გვ. 63-64.

[3] იქვე.

[4] *ვარდოსანიძე ს.* საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია XIX-XX საუკუნეებში, გვ. 219.

სულიერი განწმენდის გზა, მაგრამ თქვენი ლოცვა-კურთხევითა და შეგნებით მჯერა, საქართველო ამ გზას გაივლის. მე ვიცი, თქვენ არ გსურთ ხმაურიანი ყოფილიყო თქვენი საიუბილეო თარიღების აღნიშნვნა, მაგრამ ერი ცხოვრობს ამ თარიღებით, ფიქრობს და ლოცულობს თქვენთან ერთად, რადგან თქვენ ერის, დროისა და ისტორიის კუთვნილება ხართ".[1]

ედუარდ შევარდაძის მოღვაწეობის პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სუფევდა ჰარმონიული ურთიერთობა. „კონსტიტუციური დებულებაა, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, მაგრამ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ხალხის ინტერესები არასოდეს გაყოფილა", - აცხადებდა ე. შევარდნაძე.[2]

სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიისა და მისი მეთაურის აზრს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე. მაგალითად, 2000 წელს, როდესაც იყო მცდელობა, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ეროვნული სიწმინდეების უცხოეთში გამოფენაზე გაეტანათ, ეკლესია ამის წინააღმდეგ გამოვიდა. ასეთი იყო ხალხის გარკვეული ნაწილის სურვილიც, რაც დაკმაყოფილდა.

ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ჰარმონიულ ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია 2002 წელს დადებული კონკორდატის ხელშეკრულება იყო, რითაც საქართველოს ეკლესიამ ქვეყანაში კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები და მნიშვნელოვანი პრივილეგიებით აღიჭურვა. კონკორდატს ხელი მოაწერეს საქართველოს პრეზიდენტმა და პატრიარქმა.

საინტერესოა როგორ წარმოიშვა იდეა და რატომ გახდა აუცილებელი, რომ კონსტიტუციაში ასახულიყო საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა? როგორც მიტროპოლიტი დანიელი ჩემთან ინტერვიუში აღნიშნავს, იდეა პირველად წამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის, ზურაბ

---

[1] იქვე.

[2] *გიორგაძე ლ.* საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში, გვ. 73.

ჟვანიასაგან, რომელსაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს პატრიარქმა,[1] თუმცა ამ ინიციატივამ საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადეობის ერთ ნაწილში.

ლიბერალები და ტრადიციონალისტები ვერ თანხმდებოდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივ ფორმაზე. ლიბერალები მოითხოვდნენ ეკლესიის გამოყოფას, - დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან, ხოლო ტრადიციონალისტებს სურდათ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებულიყო მართლმადიდებლობა.[2]

მრავლისთქმელი იყო საქართველოს პატრიარქის გზავნილი, რომელიც მან 1998 წელს თავის საშობაო ეპისტოლეში გამოთქვა: სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა არ ნიშნავს, იმას, რომ ეკლესია უნდა განუდგეს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხის სოციალურ თუ კულტურულ ყოფას. აუცილებელია, რომ საქართველომ, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, ქრისტიანული ეთიკით იხელმძღვანელოს და ჩვენს ტრადიციებზე და მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე დაყრდნობით ეროვნული სახელმწიფო ააშენოს. „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მსგავსია ადამიანის სულისა და ხორცის ერთობისა, სადაც ორივეს თავისი ადგილი აქვს და მათ ჰარმონიულ ყოფას კეთილგანწყობა და გონიერება წარმართავს“.[3]

თითქმის იგივე აზრს იმეორებს პროფესორი ზურაბ კიკნაძე, რომელიც წერს: „ქრისტიანული ერების ისტორია მოწმობს, რომ ერები, როგორც ზეპიროვნული ერთობანი, სწორედ ქრისტიანობის წიაღში ჩამოყალიბდნენ, ქრისტიანობამ

---

[1] ინტერვიუ მეუფე დანიელთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან, 2021 წელი).

[2] *აბულაძე გ.* მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე საქართველოში: პატრიარქის ეპისტოლეების თვისებრივი ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბ., 2018, გვ. 48.

[3] საშობაო ეპისტოლე, 1998. http://www.sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=17152 [უკანასკნელად გადამოწმდა 15.06.2021].

გამოკვეთა ისინი და მანვე შეინახა მათი ინდივიდუალობანი და უნიკალობა, ერთ-ერთ ასეთ ერად ქართველი ერიც შეიძლება მივიჩნიოთ...”[1]

მრავალი სირთულის მიუხედავად, 2001 წლის 30 მარტს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში განხორციელდა ცვლილება (დაემატა მე-2პუნქტი), რომლის თანახმადაც, საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის ურთიერთობა უნდა დარეგულირებულიყო კონსტიტუციური შეთანხმებით.[2] ეს შეთანხმება 2002 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა. მას ხელი ქ. მცხეთაში მოეწერა.

კონსტიტუციურ შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ საქართველომ მსოფლიოში აღიდგინა მისი კუთვნილი ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ. საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო და ეკლესია ითანამშრომლებენ სახელმწიფოს საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად, კანონით მინიჭებული აქვთ უფლება დადონ ხელშეკრულება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეების მიერ იქნება შემუშავებული და შეთანხმებული.

ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კონკორდატში ასევევ აღნიშნულია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია. მართლმადიდებლური საეკლესიო დიდი

---

[1] *კიკნაძე ზ.* ქრისტიანული ფასეულობები და ქართული ეროვნული და კულტურული ცნობიერება, ჟურნ. „გული გონიერი“, 2017, # 16, გვ. 15.

[2] სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა საქართველოში. http://www.tdi.ge/ge/page/saxelmciposa-da-eklesiis-urtiertgamijvnis-problema-sakartveloshi [უკანასკნელად გადამოწმდა 20.5.2021].

დღესასწაულები გამოცხადდება დასვენების დღეებად, სახელმწიფო ეთანხმება აღსარების საიდუმლოს დაცვას, სასულიერო პირი თავისუფლდება სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სახელმწიფო და ეკლესია უზრუნველყოფენ მოძღვრის ხელმისაწვდომობას და რელიგიის აღსრულების აუცილებელ რიტუალებს.

საგანმანათლებლოო დაწესებულებებში რელიგიის სწავლება არის ნებაყოფლობითი, რელიგიის სწავლების პროგრამის შედგენა, პედაგოგთა დანიშვნა წარმოადგენს ეკლესიის პრეროგატივას და ხორციელდება მისი ზედამხედველობის ქვეშ, სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.[1]

ეკლესიას აქვს საკუთრების უფლება. მისი ქონებრივი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. ქონების განკარგვა კი ხორციელდება საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული მართმადიდებლური ეკლესია-მონასტრები, მათი ნანგრევები და აგრეთვე, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული - ეკლესიის საკუთრებადაა გამოცხადებული.

სახელმწიფომ ეკლესიის საკუთრებად ცნო მუზეუმებში დაცული საეკლესიო საგანძური, თუმცა იგი, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, რჩება სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში. სახელმწიფო და ეკლესია ვალდებულნი არიან ერთობლივად იზრუნონ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და შენარჩუნებაზე. მათი მოვლა, პატრონობა და

[1] „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება სსმ, 116, 27/11/2002. https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626 [უკანასკნელად გადამოწმდა 20.02.2021].

სარგებლობა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

კონკორდატი - კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ითვალწინებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიებზე არსებული ქართული მონასტრებისა და ეკლესიების შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებებში სახელმწიფოს მონაწილეობას, ქართული ეკლესიის ინტერესების გათვალისწინებას და დაცვას.[1]

მნიშვნელოვანი დეტალია ხელშეკრულების, რომ „სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-1990 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე“. ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გარკვეული თანხით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონკორდატის მომზადებას დაახლოებით 7 წელი დასჭირდა. მასზე იუსტიციის სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად, მუშაობდნენ სამეცნიერო და აკადემიური საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები და საქართველოს საპატრიარქო.

მუშაობის პროცესს საინტერესოდ იხსენებს მიტროპოლიტი დანიელი: „მე ვიყავი ამ ჯგუფის მონაწილე, მზადდებოდა ბევრი ვარიანტი, აზრები იბადებოდა როგორც ეკლესიის წიაღში ასევე სახელმწიფოს მხრიდან. მონაწილეობდნენ ისტორიკოსები, მეცნიერები, იურისტები. თავდაპირველად ლაპარაკი დაიწყო კანონზე, მერე თანდათან წავიდა კონსტიტუციისკენ. უნდა აღინიშნოს, რომ იდეის ავტორი იყო ზურაბ ჟვანია, მას ჰქონდა უამრავი წინააღმდეგობა, პირველი

[1] იქვე.

წინააღმდეგობა იყო კონფესიებიდან. მათ სახელმწიფოს წამოუყენეს პრეტენზია, შენ ამას აკეთებ მხოლოდ ეკლესიისადმი და სხვა კონფესიები რჩებიან ისე, თუმცა საქართველოს ეკლესიამ აქტიურად იმუშავა მათთან და მათ განაცხადეს თანხმობა, რადგან ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს არ ლახავდა მათ უფლებებს. მეორე საფეხური იყო არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი ეკლესიის ასეთი უფლებების მინიჭების წინააღმდეგნი იყვნენ. მათ დარწმუნებაში დიდი როლი ითამაშა ჟვანიამ. მან აუხსნა, რომ თუ ასეთი რამე მოხდება, პირიქით ეკლესიას მოღვაწეობა დაეხმარება სახელმწიფოს. მესამე სფერო ეს იყო პარლამენტის იურიდიული კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სააკაშვილი და ადეიშვილი, აქაც იმუშავა ჟვანიამ და კომიტეტმა თანხმობა განაცხადა. აღსანიშნავია ასევე, რომ გიგი წერეთელმა გააგზავნა სტრასბურგში კონკორდატის პროექტი და ჩამოიტანა დასკვნა, სადაც ეწერა, რომ ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის...

უნდა აღინიშნოს, რომ შევარდნაძის როლი იყო ნეიტრალური - არც დადებითი და არც უარყოფითი. თვითონ ასეთი რამ გვითხრა, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ჩვენი საზოგადოება მაინც ახალი გამოსულია ათეიზმიდან, ნაკლებად შეძლებს ამის მიღებას და ხომ არ არის ეს ნაჩქარევი, ხომ არ გადავწიოთ? არ მეხსენდება ისეთი მუხლი, რომელიც დაიწუნა სახელმწიფომ, იყო პატარა ნიუანსები. ზოგიერთი სასულიერო პირი ითხოვდა, რომ სახელმწიფო რელიგიად აღიარებულიყო მართლმადიდებლობა, თუმცა ამის საპირწონედ პატრიარქი სულ ამბობდა, რომ არ უნდა იყოს მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია, მას მიჩნდა, რომ ეს ირიბად მაინც დამოკიდებულებას იწვევს სახელმწიფოზე“.[1]

აქვე საინტერესოა მამა ზაქარიას სიტყვები, რომელიც წინააღმდეგი იყო კონკორდატის ასეთი ფორმით დადების, იგი გაცილებით მჭირდო ურთიერთობას მოითხოვდა სახელმწიფოსთან, რაზეც პატრიარქს ამგავარად მიუგია: „დღეს რაც მივიღეთ, ეს არის საუკეთესო, ხვალ აღარავინ მოგვცემს ამას“.

[1] ინტერვიუ მეუფე დანიელთან (ინტერვიუ ინახება ჩემთან).

რელიგიურ ორგანიზაციებთან გარკვეულ თემებზე შეთანხმებების გაფორმება მიღებული პრაქტიკაა, თუმცა კონსტიტუციური შეთანხმების მსგავსი სტატუსისა და ნორმატიული შინაარსის დოკუმენტით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამყარებული ურთიერთობის ანალოგი სხვა ქვეყნებში არ მოიძებნება.[1] მსგავსება არსებობს ვატიკანსა და სხვადასხვა სახელმწიფოს შორის გაფორმებულ შეთანხმებებთან, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, ცალსახაა არსებითი განსხვავებაც, რადგან ვატიკანისგან განსხვავებით, ეკლესია არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. შეთანხმების „კონსტიტუციური სტატუსი", რაც პრაქტიკაში მის შიდა კანონმდებლობასთან შედარებით უპირატესობას გულისხმობს, ასევე მისი სახელმწიფოს სახელით და პრეზიდენტის მიერ გაფორმება მართლაც ატარებს გარკვეულ მსგავსებას საერთაშორისო ხელშეკრულებასთან, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება სახელმწიფოსა და მისი საერთო რეგულირების ქვეშ არსებულ ერთ-ერთ რელიგიურ ორგანიზაციას შორის არის დადებული.[2]

კონკორდატის კონსტიტუციური სტატუსი უარყოფითად შეაფასა ვენეციის კომისიამ. მისი განმარტებით, ეკლესიის სტატუსი სახელმწიფო შტოების კონსტიტუციურ სტატუსს უახლოვდებოდა და შესაძლოა შეექმნა სეკულარულ საკითხებზე რელიგიური დომინირების ეჭვები და საფრთხეები. ამასთან, ვენეციის კომისია მსგავსი დასაბუთებით, შეთანხმების არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, არამედ საქართველოს მთავრობასა და ეკლესიას შორის გაფორმების რეკომენდაციას გასცემდა.[3]

საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. პარლამენტარი გიგი წერეთელი, რომელიც იყო კონკორდატის ტექსტზე მომუშავე კომისიის ხელმძღვანელი, აღნიშნავდა: „საზოგადოებას სურს,

---

[1] მიმართვა ვენეციის კომისიას რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ ცვლილებებზე. https://tdi.ge/ge/news/426-mimartva-veneciis-komisias-religiis-tavisuplebastan-dakavshirebit-konstituciur-cvlilebebze [უკანასკნელად გადამოწმდა 23. 05. 2021].

[2] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. „კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი ანალიზი". https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/კონსტიტუციური_შეთანხმების_სამართლებრივი_ანალიზი.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 23. 05. 2021].

[3] იქვე.

რომ საქართველოს ჰქონდეს ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობანი. აქ საუბარია არა რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიებზე, არამედ იმ საერთაშორისო ნორმებზე, რომლებიც ადამიანის დაცვის სფეროში მოქმედებს. მიზანი ერთია - მოხდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეგლამენტაცია. კანონში ვერ აისახება ის სპეციფიკა, რომელიც ქართულ ეკლესიას აქვს ისტორიულად. საქართველოს მართლმადიდებლობა არამარტო სულიერების, სახელმწიფო ძლიერების სიმბოლოცაა".[1] კონსტიტუციურ შეთანხმებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტმაც, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ეკლესიის ფეხზე დაყენება გვსურს და მიგვაჩნია, რომ მან თავისი სიძლიერითა და გავლენით უნდა დაჯაბნოს სექტები".[2]

კონსტიტუციური შეთანხმება გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. განჩინებაში ნათქვამია, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ურთიერთობების სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფო და, მეორეს მხრივ, მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და არა სხვა რომელი რელიგიური ორგანიზაცია. საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური შეთანხმების დადება მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან განპირობებულია მისი განსაკუთრებული როლით საქართველოს ისტორიაში. კონსტიტუციური შეთანხმების მხოლოდ საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არ გამორიცხავს საქართველოში სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის არსებობას, ასევე, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მათი საქმიანობის შეზღუდვას და, მით უმეტეს, აკრძალვას.[3]

---

[1] *გიორგაძე* ლ. საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში, გვ. 75.

[2] გაზ. „ახალი თაობა", 2002, 10 ოქტომბერი.

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მოქალაქე ზურაბ არაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=182 [უკანასკნელად გადამოწმდა 15. 04. 2021].

საინტერესო იყო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ: „მე მიმაჩნია, რომ ეს მართლაც უნიკალური მოვლენაა ეკლესიასთან საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობაში, - განაცხადა ინტერვიუში ე. შევარდნაძემ. ...საკონსტიტუციო ხელშეკრულების მომზადების ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს ხელისუფლებას - აღმასრულებელსა და საკანონმდებლოს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და მის კოლეგებს. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი სამღვდელოება, მღვდელმთავრები და ყველა, ვინც მათი თანამოაზრეა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით. ბევრ ქვეყანაში ვერ ახერხებენ ამ დონის ხელშეკრულების, ასეთი ურთიერთობების, პრინციპების ჩამოყალიბებას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ჩვენ ეს შევძელით... სხვა კონფესიების წარმომადგენლები, რომლებსაც მე შევხვდი, სრული გაგებით ხვდებიან ასეთ კანონს... ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე რელიგია უნდა შევიწროვდეს, ან რომელიმე რელიგიის უფლებები უნდა შეილახოს - ეს გამორიცხულია, ეს ეწინააღმდეგება თვით ჩვენი კონსტიტუციის სულისკვეთებას და იმ პრინციპებს, რა პრინციპებზეც საქართველოს სახელმწიფო შენდება“.[1]

დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „ეს შეთანხმება არ იქნებოდა და არ იქნებოდა იგი ხელმოწერილი, რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებული ურთიერთობა და კეთილი ნება ორი ადამიანისა - უპირველეს ყოვლისა მისი უწმინდებულესობისა და ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი - საქართველოს პრეზიდენტისა... მე მიმაჩნია, რომ ჩემი მოვალეობა, მანამ სანამ საქართველოს პრეზიდენტი ვიქნები და შემდეგაც, როცა მე ჩვეულებრივი მოქალაქის როლი უნდა შევასრულო, იმაში მდგომარეობს, რომ ვიზრუნო, რათა ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა ამ დოკუმენტისა იქცეს საქმედ“.[2]

კათოლიკოს-პატრიარქმა კი ამგავარად მიმართა პრეზიდენტს: „თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ეს საერთო დიდი ძალისხმევა, უპირველეს

---

[1] პრეზიდენტის რადიო ინტერვიუდან, 2001 წლის აპრილი.

[2] *გიორგაძე ლ.* საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში, გვ. 82.

ყოვლისა, თქვენი კეთილი ნებით და თანადგომით განხორციელდა. მიიღეთ ჩვენი დიდი მადლიერება. ბუნებრივია, არაერთი უმნიშნელოვანესი დოკუმენტისათვის გაქვთ ხელი მოწერილი, მაგრამ, ვფიქრობ, ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეთანხმება ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულია“.[1]

მრავალი კრიტიკის და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხილულ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიისა ურთიერთობა განსაკუთრებულ ნიშნულზე ავიდა. საქართველოს ეკლესიამ თავისი კუთვნილი ისტორიული ადგილი დაიბრუნა ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

[1] https://www.youtube.com/watch?v=H33NbNmPV2I [უკანასკნელად გადამოწმდა 20. 04. 2021].

3.3 ეკლესია და სამოქალაქო საზოგადოება

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებსა და პოტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცე ახალმა აქტორმა - სამოქალაქო საზოგადოებამ შეავსო. მისი პირველი წევრები უცხო ენის მცოდნე, ძირითადად ახალგაზრდა თაობის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც სხვებზე ადრე მოიპოვეს ინფორმაცია უცხოური დონორების, პირველ რიგში, დასავლური საგრანტო, საქველმოქმედო თუ მსგავსი ფონდების შესახებ, მოახერხეს მათთან დაკავშირება და თანამშრომლობაც გააბეს. ზოგადი განმარტებით, „სამოქალაქო ისეთი საზოგადოებაა, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით, სამოქალაქო ინიციატივის საფუძველზე ერთიანდებიან, მოქმედებენ სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და კოლექტიური ძალისხმევით ახორციელებენ საერთო ინტერესებს“.[1] სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ზოგჯერ „არასამთავრობო ორგანიზაციებსა“ (NGO) და „მესამე სექტორს“ უწოდებენ, ის სფეროა, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან უშუალო ჩარევის და თვითნებური რეგლამენტაციისაგან კანონი იცავს. სამოქალაქო საზოგადოება თანაარსებობს და ფუნქციონირებს სახელმწიფოსთან ერთიანობაში. დემოკრატიული მმართველობის პირობებში, მას მჭიდრო კავშირი აქვს და ურთიერთობს სახელმწიფოსთან, ავტორიტარული რეჟიმებში კი - სახელმწიფოსთან პასიურ ან აქტიურ ოპოზიციაში იმყოფება.[2]

სამოქალაქო საზოგადოების უმთავრეს ასპარეზს საჯარო სივრცე წარმოადგენს, ხოლო მათი საქმიანობის დედაზრად კი ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დაცვაა დეკლარირებული.

იმის გამო, რომ პოსტსაბჭოთა საქართველომ თავის პოლიტიკურ ორიენტაციად დასავლურ სამყაროში ინტეგრაცია აირჩია, ხოლო დასავლურ

---

[1] https://dcg.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/03/angarishis-sruli-versia.-kvlevis-pirveli-etapi-PDF.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 07. 06.2021].

[2] *ბოკლება ნ.* ურთიერთმიმართება სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად, თბ., 2020, გვ. 40.

ღირებულებათა ერთგვარ ადეპტებად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ითვლებიან, ყოველი ხელისუფლება თავს მოვალედ მიიჩნევს, მათ ანგარიში გაუწიოს.

მკვლევართა ნაწილის აზრით, საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და რომ ამ ტიპის პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო“.[1]

ზოგიერთი ავტორი (მაგალითად, გიგი თევზაძე) სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახს საქართველოს ისტორიაში გაცილებით ადრე ხედავს და მას შუა საუკუნეების ქალაქ თბილისში ხელოსანთა და ვაჭართა გილდიების არსებობას უკავშირებს. თითქოს, მათი ტრადიცია საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებამდე მოქმედებდა და ხელს უწყობდა სამოქალაქო მონაწილეობის შედარებით მაღალ დონეს. გია ნოდია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ტიპოლოგიურად არ უკავშირებს კლასიკურ, დასავლეთ-ევროპულ მოდელს და მას აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ მოდელს ამსგავსებს, რომლის მამოძრავებელ ძალას ლიბერალური იდეების მატარებელი ჯგუფები - „ინტელიგენცია“ თუ „ინტელექტუალები“ შეადგენდნენ.[2]

საქართველოში ლიბერალური იდეებისა და სამოქალაქო ინსტიტუტების გავრცელებას ბიძგი მისცა საუნივერსიტეტო ცოდნით აღჭურვილი დასის - „თერგდალეულების“ მოღვაწეობამ, რომელთა ლიდერი ილია ჭავჭავაძე იყო. მათ დროს საფუძველჩაყრილი სამოქალაქო საზოგადოების განვითარება 1921 წელს საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციით შეწყდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ აქ დამკვიდრებული ტოტალიტარულ პოლიტიკურ რეჟიმი ადამიანებს საჯარო სივრცეში დამოუკიდებელი ინიციატივის გამოჩენის

---

[1] არასამთავრობო ორგანიზაციების 140 წელი საქართველოში. https://grass.org.ge/ka/statement/arasamtavrobo-organizaciebis-140-tseli-saqartveloshi [უკანასკნელად გადამოწმდა 07 .05. 2021].

[2] *ნოდია გ.* სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, თბ., 2005, გვ. 13.

საშუალებას არ აძლევდა. ამ პირობებში ჭეშმარიტი სამოქალაქო აქტივობის გამოვლენა დანაშაულად აღიქმებოდა და სიცოცხლისათვის საფრთხეს შეიცავდა. საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში, კომუნისტური მმართველობის პერიოდში არსებობდა კვაზიარასამთავრობო ორგანიზაციები (მწერალთა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა კავშირები და სხვ.), მაგრამ მათ საქმიანობაზე სრულ კონტროლს ხელისუფლება ახორციელებდა.[1]

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ხელახალი აღმოცენება შეიძლება ადამიანის უფლებადამცველი პირველი გაერთიანებების (,,ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი", ,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი") შექმნას დავუკავშიროთ . ამ დისიდენტური ორგანიზაციების პარალელურად და ოდნავ მოგვიანებით, სამოქალაქო საზოგადოების ტიპის პირველი გაერთიანებები გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საფუძველზე წარმოიშვა (მაგალითად, „მწვანეთა მოძრაობა", „რუსთაველის საზოგადოება", „კავკასიური სახლი").

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განახლების შემდეგ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით დასავლური სამყარო დაინტერესდა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", რომელსაც ცნობილი ამერიკელი ფილანტროპი ჯორჯ სოსროსი აფინანსებდა), ფონდი „ჰორიზონტი", რომლის დონორი აშშ სახელმწიფო ბიუჯეტი იყო და სხვ.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელმაც „ეროვნული ინტერესები უმაღლეს ღირებულებად გამოაცხადა", სამოქალაქო საზოგადოების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა. ამას ადასტურებს ჩემთან ინტერვიუში მამა ელიზბარიც, რომლის თქმითაც, ზვიად გამსახურდია ყველაფერს აკეთებდა, რომ

[1] სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში.
http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 20.02.2021].

გარედან დაფინანსებული და დაარსებული ორგანიზაციები შეეზღუდა, რადგან მას მიაჩნდა, რომ ისინი მოქმდებდნენ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

უცხოური დონორებისათვის პრიორიტეტული საკითხები ზოგჯერ არ ასახავს ქართული საზოგადოების წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გენდერული პრობლემა, რომელიც ქართულ რეალობაში სულაც არ არის იმ მნიშვნელობის, როგორადაც მას სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი და მათი დამფინანსებელი ფონდები წარმოაჩენენ. ის გარემოება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსურად დამოკიდებულები იყვნენ დასავლურ ფონდებზე, საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილშიც გარკვეულ ეჭვებს ბადებდა, ხომ არ იყო მათი საქმიანობა მიმართული ქართული ღირებულებების საზიანოდ და უცხო სახელმწიფოების ინტერესების გასატარებლად ჩვენს ქვეყანაში? მით უფრო, რომ ბევრი ასეთი ორგანიზაციისათვის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ მართლმადიდებელი ეკლესია იქცა. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყანაში დემოკრატიული და ლიბერალური განვითარების შემაფერხებელი ძალაა, რის გამოც მისი ავტორიტეტი და საზოგადოებაზე გავლენა უნდა შესუსტდეს. მესამე სექტორის დიდი ნაწილი ეკლესიას განიხილავს რეტროგრადულ ორგანიზაციად, „უიმედოდ კონსერვატიულ ინსტიტუტად“, რომელიც ცდილობს დაამუხრუჭოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და მისი ევროატლანტიკური კურსით სვლა. კრიტიკის საგანია ასევე, ეკლესიის კონსერვატიული ხედვა და რუსეთის მიმართ ზედმეტ ლოიალობა.[1]

ეკლესიისადმი ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც საქართველოში ე. წ. რეიტინგების კვლევა დაიწყო და თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ ყველა სახელმწიფოებრივ სტრუქტურასა თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტს შორის უპირატესობით მართლმადიდებელი ეკლესია, ხოლო პიროვნებათა ინდივიდუალურ რეიტინგებში, უპირობოდ, საქართველოს

[1] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. პოლიტიკის დოკუმენტი, 2017. https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2513.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 17. 04. 2021].

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ლიდერობდა. 1992 წ. შემდეგ, საზოგადოების მხრიდან ეკლესიის მეთაურის მიმართ არსებული ნდობის მაჩვენებლი ყოველთვის ბევრად აღემატებოდა სხვა საჯარო პირების ნდობის მაჩვენებელს. საგულისხმოა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები თავს ეკლესიის წევრებად მოიაზრებენ, ერიდებიან ეკლესიასთან ღია დაპირისპირებას და მისი წინამძღოლისადმი პატივისცემას საჯაროდ გამოხატავენ. ეს გარემოება ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს, განაცხადოს: „ეკლესიას მიაჩნია, რომ ქვეყანაში ის არის ერთადერთი მონოპოლიური და განმსაზღვრელი ინსტიტუტი. ის აცხადებს პრეტენზიას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე და ინარჩუნებს ავტორიტეტულ მდგომარეობას პოლიტიკურ სივრცეშიც, ცდილობს გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე”.[1]

აღსანიშნავია, რომ დიდად არც ეკლესია წყალობდა და წყალობს სამოქალაქო საზოგადოების ტიპის გაერთიანებებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, დაიცვან სხვადასხვა უმცირესობანი და მათი უფლებები, მაგრამ ნაკლებად წყალობენ ტრადიციულ ღირებულებს, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იზიარებს. ამის გამო, ეკლესიამ მათ საქმიანობა ქართული ეროვნული თვითმყოფადობისათვის საფრთხედ მიიჩნია და მრევლს მათგან დისტანცირებისაკენ მოუწოდა. ეკლესიას დასჭირდა დამატებითი ძალისხმევა მართლმადიდებლური ღირებულებების დასაცავად.

სამოქალაქო საზოგადოების მოზრდილი ნაწილი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ყოველივე დასავლურის, მათ შორის ლიბერალიზმისა და დემოკრატიის მტრად წარმოაჩენს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს აშკარა გადამეტებაა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ ცალსახად ანტიგონისტური არ არის. უდავოა, რომ ეკლესიაში შეიმჩნევა დასავლეთისადმი გარკვეული უნდობლობა, ეჭვი და მიუღებლობაც,

[1] *პოკლება ნ.* ურთიერთმიმართება სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის საქართველოში, გვ. 103-104.

მაგრამ იმავდროულად ეკლესიაში არსებობს პატივისცემაც დასავლეთის თვალსაჩინო მიღწევების მიმართ ტექნოლოგიური პროგრესის კუთხით, განათლების, შრომის ორგანიზაციის, მართვისა თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებას სათავეში ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა, „მესამე სექტორის“ საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში უფრო გაფართოვდა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდაჭერის პარალელურად, მათი დაინტერესების სფეროში მოექცა მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების პრობლემები, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, სოციალური პრობლემები და სხვ. შედარებით განვითარებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გარკვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენა მოიპოვეს.[1]

იმის მიუხედავად, რომ 90-იანი წლებიდან 2002 წლამდე პერიოდში საქართველოში 5 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაციია იყო რეგისტრირებული,[2] სამოქალაქო სექტორს ქართულ საზოგადოებაში თვითდამკვიდრების კუთხით გარკვეული პრობლემები ჰქონდა და აქვს, კერძოდ: მისი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ქვეყანაში მასსა და საზოგადოებას შორის არსებული ნაპრალია. ქართული ორგანიზაციები ნაკლებად ითვლებიან ქვემოდან წამოსულ ორგანიზაციებად, რადგან ძირითადად ელიტებით არიან წარმოდგენილნი, რაც ხშირად ზემოდან ქვემოთ მიდგომას გულისხმობს.[3] მესამე სექტორს საზოგადოებაში არა აქვს სათანადო დასაყრდენი ბაზა და მხარდაჭერა, რაც მის შესაძლობლობებსა და გავლენის ძალა მნიშვნელოვნად ამცირებს.

---

[1] *ნოდია გ.* სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, თბ., 2005, გვ. 16.

[2] მესამე სექტორისათვის საქართველოში „ოაზისურ“ პერიოდად მიიჩნევა 1995-1999 წლები, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებამ შესამჩნევად გააფართოვა საქმიანობას და მისი ხმაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო მეტად გაისმა. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 04. 03.2021].

[3] *ჰუიგი ჯ.ბ.* საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სიტუაციური ანგარიში. ევროპის ფონდი, 2016, http://bit.ly/2oSAJrU [უკანასკნელად გადამოწმდა 15.04. 2021].

ქვეყნის ახალ მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს სურდა დასავლური ყაიდის მმართველის იმიჯი ჰქონოდა, რის გამოც, სამოქალაქო საზოგადოებისა და განსაკუთრებით მის ნაწილად მიჩნეული მედიის მიმართ თმენის ვალდებულებას იცავდა. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან მოყოლებული, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან გაიზარდა ხელისუფლების კრიტიკა, ე. შევარდნაძე მათთან ურთიერთობის დაძაბვას ყოველმხრივ ერიდებოდა. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია კი, თავის მხრივ, გაკრვეულ საკითხებზე ცდილობდა ეთანამშრომლა ხელისუფლებასთან.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში მესამე სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი, განსაკუთრებით „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ახალგაზრდული ორგანიზაცია „კმარა“ ხელისუფლებას მკვეთრად დაუპირისპირდა და პარალელურად, ეკლესიის კრიტიკაც გააძლიერა. ამის საფუძველს მესამე სექტორს ისიც აძლევდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ტრადიციული რელიგიებისადმი (ისლამი, იუდაიზმი, კათოლიციზმი, გრიგორიანელობა) დამოკიდებულებაში ტოლერანტული პოზიცია დაიკავა, რაც არ ითქმის ჩვენი ქვეყნისათვის არატრადიციულ რელიგიური მიმდინარეობების (იეღოვას მოწმეები, კრიშნაიტები და ა.შ.) მიმართ. არასამთავრობო სექტორის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს დადებულმა კონკორდატმაც, რადგანაც მან, განსხვავებით ქვეყანაში არსებული სხვა რელიგიური ჯგუფებისაგან, მართლმადიდებელ ეკლესიას დიდ პრივილეგიები მიანიჭა.

მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში კვლაც რჩებოდა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან და მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტად, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საზოგადოებრივ ღირებულებებსა და პრინციპებს, მაშინ, როდესაც, 2002 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები აჩვენებდა, რომ არასამთავრობო სექტორის დაბალი იმიჯი ჰქონდა და მისი საქმიანობის საზოგადოების მხრიდან შეფასებებში ნეგატიური დამოკიდებულება

ჭარბობდა პოზიტიურს. საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას (94.2 %) არსდროს უთანამშრომლია არასამთავრობო ორგანიზაციებთან.[1] მეორეს მხრივ კი, 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის 84 პროცენტი თავს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულად მიიჩნევს.[2]

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის უთანხმოებები უფრო მეტია, ვიდრე შეხების წერტილები. ისინი, შეიძლება ითქვას, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ბანაკებში იმყოფებიან, მაშინ, როდესაც საზოგადოების კონსოლიდაციისათვის უმჯობესი იქნებოდა ორივე ამ გავლენიანი აქტორის ურთიერთთანამშრომლობა. ექსპერტთა აზრით, ეკლესიისა და მესამე სექტორის თანამშრომლობა მხოლოდ სპეციფიკური პროექტების ფარგლებშა შესაძლებელი, სადაც პოლიტიკური ხასიათის აქტივობები ნაკლებად იქნება წარმოდგენილი.[3]

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანი არ არის. მესამე სექტორის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უფლებებზე მუშაობს და ფოკუსირებულია უმცირესობების უფლებების დაცვაზე, ეკლესიისთვის მიუღებელია, როგორც დასავლეთის ლიბერალური ღირებულებების გამტარებლები, მოიხსენიებს მათ ფსევდოლიბერალების სახელით და ხშირად ადანაშაულებს ტრადიციების უგულვებელყოფაში.[4]

---

[1] მესამე სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი, თბ., 2003. http://www.cipdd.org/upload/files/datolos2.pdf[უკანასკნელად გადამოწმდა 17.05.2021].

[2] https://2009-2017.state.gov/documents/organization/132827.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2021].

[3] სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები, თბ., 2018, გვ. 111.

[4] *მინესაშვილი ს.* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, გვ. 8. http://gip.ge › wp-content › uploads [უკანასკნელად გადამოწმდა 05.04.2021].

დასკვნა

ქართულ მონარქიულ სახელმწიფოში მართლმადიდებელი ეკლესია ძლიერ სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისათვის საქართველოში დამახასიათებელი იყო თანამშრომლობითი მოდელი. ეკლესია ძირითადად ერის სულიერი, ზნეობრივი თუ კულტურული განვითარების სამსახურში იდგა, მაგრამ იმავდროულად, სერიოზული გავლენა ჰქონდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზეც. მართლმადიდებლური სარწმუნოება ქართველობისათვის ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მოგვევლინა. ხაზგასასმელია მისი წვლილი ქართველი ერის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაშიც.

მონარქიულ საქართველოში მღვდელმსახურთა განსაკუთრებული ფუნქცია იყო მათი მონაწილეობა მეფის კურთხევაში, რომელიც ეკლესიაში აღესრულებოდა. ამ უფლებამოსილებისა და წირვა-ლოცვის გვერდით, ეკლესიას გააჩნდა სხვა კონკრეტული მოვალეობებიც: ბავშვთა დაბადების აღრიცხვა, ნათლობა, ჯვრისწერა, ქორწინება, ზიარება, წესის აგება და ა. შ. ეკლესიები და მონასტრები წიგნიერების გავრცელების, განათლების მნიშვნელოვან კერებსაც წარმოადგენდნენ.

მეფის ხელისუფლების ძლიერების პირობებში ეკლესია ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში საკუთარი წვლილიც შეჰქონდა. ამასთან, არაერთხელ ყოფილა სახელმწიფოსთან ეკლესიის დაპირისპირების შემთხვევებიც.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეკლესია გულწრფელად მიესალმა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის მოლოდინის მიუხედავად, რომ სუვერენულ საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ძველი ტრადიციული ურთიერთობა განახლდებოდა, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება და პოლიტიკური ელიტა

სეკულარიზმის, - სახელმწიფოსა და ეკლესიის ფუნქციების გამიჯვნის გზას დაადგა. ეკლესიის უფლებების, პატივისა და ქონების დამცველად მხოლოდ მემარჯვენე ძალები - ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული პარტიები გამოვიდნენ.

სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მართლმადიდებელი ეკლესიის უფლება-კომპეტენციის ფარგლები. ეკლესიას ჩამოერთვა ისტორიული მნიშვნელობის მატერიალური ქონება, მიწები, შეუწყდა საგანმანათლებლო ფუნქცია, გაუქმდა ზოგიერთი საეკლესიო უქმე დღე და სხვ. ამის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის მანძილზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა არ მოშლილა, ეკლესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

1921 წლის თებერვალში მიღებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ კონსტიტუციამ დააკანონა, რომ: „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან“.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციიდან მალევე საბჭოთა რეჟიმმა ეკლესია კანონგარეშე გამოცხადდა, მას ქონება ჩამოართვა და მიისაკუთრა. ეკლესია-მონასტერთა დიდი ნაწილი დახურეს, დაანგრიეს მრავალი ტაძარი, ბევრგან მოშალეს ღვთისმსახურება, დააპატიმრეს და დასაჯეს არაერთი სასულიერო მოღვაწე.

ბოლშევიკების ანტირელიგიური პოლიტიკა არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფორმისტულ ურთიერთობასა და ლოიალობის გზას დაადგა. ამას მოწმობს 1929 წელს რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” საქმიანობა და ათეისტური პროპაგანდის გაძლიერება. ყველაფრის მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმმა საზოგადოების სარწმუნოებისაგან სრული გაუცხოება ვერ შეძლო და ეკლესიაც ბოლომდე განადგურებას გადაურჩა.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთგვარი გარდამტეხი პერიოდი XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, რაც საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესით, კომუნისტური წყობილების კრიზისითა და ეროვნული

მოძრაობის აღმავლობით იყო განპირობებული. ეს პერიოდი ქვეყნის კათოლიკოს-პატრიარქის რანგში ილია II-ის მოღვაწეობას უკავშირდება და აღინიშნა ეკლესიის როლისა და ავტორიტეტის ზრდით, სულიერი ცხოვრების აღორძინებით, ეკლესია-მონასტრების აღდგენით, საეკლესიო დღესასწაულების განახლებითა და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად, შესამჩნევი იყო, რომ მოსახლეობაში ქრისტიანული ზნეობა ფეხს ძნელად იკიდებდა, რადგან გაუაზრებლად, არაცნობიერად," მხოლოდ ეკლესიაში სიარულით, პირჯვრის გარდასახვით, ხატების კოცნით ადამიანი ქრისტიანი ვერ გახდება" (აკაკი ბაქრაძე).

ეროვნული მოძრაობა ეკლესიასთან კოორდინირებულად მოქმედებდა, მათი ინტერესები ერთმანეთს არ ჰკვეთდა, თუმცა ეროვნული მოძრაობის მეთაურთა ნაწილი ნაკლებად ენდობოდა ეკლესიას და მის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი. ამას გარკვეულად ისიც განაპირობებდა, რომ საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში ბევრი „ხელმრუდე და სულმრუდე ადამიანი შეიპარა", რომლებიც სახელს უტეხდნენ ეკლესიას.

საქართველოს ეკლესიის მეთაური აქტიურად იყო ჩართული 80-იანი წლების საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებში, რომელთაგან გამოსაყოფია 1988 წლის ნოემბრის აქციები და 1989 წლის 9 აპრილი. როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა, პატრიარქი ყველაფერს აკეთებდა, რათა ხელი შეეწყო მათი შერიგებისა და გაერთიანებისათვის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განახლების შემდეგ, ქვეყნის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტსაბჭოთა ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირებაში. ეკლესიამ შეავსო საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად გაჩენილი იდეური ვაკუუმი და თავისი გამაერთიანებელი ძალით ხელისუფლების ლეგიტიმაციის გარკვეულ წყაროდაც იქცა.

ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ სუვერენულ ქართულ სახელმწიფოში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადებულიყო, რასაც არ ეთანხმებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორე. მისი აზრით, ეს ირიბად მაინც, ეკლესიის სახელმწიფოზე დამოკიდებულებას გამოიწვევდა.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ცდილობდა ეკლესიის უფრო აქტიურ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში, ოპოზიციის წინააღმდეგ მოქმედებისათვის ის პატრიარქს მხადაჭერასაც სთხოვდა. ილია მეორის პოზიცია კი იყო, რომ ეკლესია არ უნდა დადგეს „პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორეს გასანადგურებლად“. ეკლესიამ მედიატორის როლი იკისრა, თუმცა დაწყებული კონფრონტაცია ვერ შეაჩერა, - კანონიერი ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების შედეგად დაემხო.

სახელმწიფო სტრუქტურების მოშლის პარალელურად, იზრდებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი. ეკლესია ცდილობდა გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანებას. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შეხედულებით, უმძიმესი ვითარებიდან ქვეყნის გამოსაყვანად აუცილებელი იყო ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერა, რომელიც სამხედრო საბჭოს მოწვევით სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს.

ედუარდ შევარდაძის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლება ანგარიშს უწევდა და ითვალისწინებდა ეკლესიის აზრს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე.

საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის როლი იმდენად დიდი ქვეყანაში, რომ იგი მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისგან ბოლომდე გამიჯნული არ არის. ხოლო რაც შეეხება საზოგადოებისა და ეკლესიის განცალკევებას, სახელმწიფოს ინსტიტუციური სეკულარიზაცია ამას არ გულისხმობს.

2002 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კონსტიტუციურ შეთანხმება - კონკორდატი სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სპეციალისტების, სამეცნიერო და აკადემიური საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებისა და საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომლობით მომზადდა.

კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმება განპირობებული იყო მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლით საქართველოს ისტორიაში. კონკორდატით ეკლესიამ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს მხრიდან უსამართლოდ სარგებლობს პრივილეგიებით, მათ შორის ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი სახსრებით და სხვა. მესამე სექტორის დიდი ნაწილი ეკლესიას განიხილავს რეტროგრადულ ორგანიზაციად, „უიმედოდ კონსერვატიულ ინსტიტუტად“, რომელიც ცდილობს დაამუხრუჭოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და მისი ევროატლანტიკური კურსით სვლა. თუმცა ფაქტია, რომ საქართველოს ეკლესიის ამგვარ პატივს ეჭვით არ უყურებდა საერთაშორისო საზოგადოება. საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი, ევროპის, აზიისა თუ ამერიკის სახელმწიფოთა ბევრი ლიდერი, თავაზიანობის ვიზიტით, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს სტუმრობდა და არა საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბზიანიძე ა. საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები (დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2006.
2. აბულაძე გ. მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე საქართველოში: პატრიარქის ეპისტოლეების თვისებრივი ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბ., 2018.
3. ალიმბარაშვილი ს. ქართული ეკლესიის როლი ქვეყნის დაცვაში. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიური ცენტრის შრომათა კრებული, 2013, N 4.
4. ანდრონიკაშვილი ზ. სტალინური ეკლესია. https://www.radiotavisupleba.ge/a/30822595.htm
5. არაბიძე ი. „განახლების მოძრაობა“ საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში. დისერტაცია წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2005.
6. არასამთავრობო ორგანიზაციების 140 წელი საქართველოში. https://grass.org.ge/ka/statement/arasamtavrobo-organizaciebis-140-tseli-saqartveloshi
7. ბენდელიანი მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, თბ., 2002.
8. ბუბულაშვილი ე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვაწლი უცხოეთის ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში (XX ს-ის 70-იანი წლები – XXI ს-ის პირველი ათეული), ჟურნ. „ლოგოსი“, # 7, თბ., 2013.
9. გამსახურდია კ. (კონსტანტინე, შვილიშვილი), დინების საწინააღმდეგოდ, თბ., 1997. https://www.davitisgza.info/content.php?news=1207
10. გაზ. „ახალი თაობა“, 2002, 10 ოქტომბერი.
11. გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 31 იანვარი.
12. გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 4 თებერვალი.
13. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ., 22 მაისი.
14. გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა, თბ., 2017.
15. გეგენავა დ. სადოქტორო ნაშრომი: კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართელბრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბ., 2016.
16. გიორგაძე ლ. საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004), თბ. 2004.

17. გიორგაძე მ. პატრიარქი და ეროვნული მოძრაობა, კრებულში - ისტორია შეულამაზებლად, თბ., 2014.
18. გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ.,1991.
19. გურული ვ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა. https://sangu.ge/images/vguruli/11cnob.pdf
20. დეისაძე-შარვაშიძე ლ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე), სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019.
21. დომენტი IV, კათალიკოსი. https://qim.ge/domenti%20IV.html
22. ვარდოსანიძე ს. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011.
23. ვარდოსანიძე ს. სეკულარიზმი. ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათიის ეკლესიური და საერო გაგება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), „ახალი ეპოქის დასაწყისი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისადმი, შრომების კრებული თბ., 2018.
24. ვარდოსანიძე ს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-ატრიარქი ილია მეორე, თბ., 2008.
25. ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია XIX – XX საუკუნეებში, თბ., 2010.
26. ვაჩნაძე მ. გურული ვ. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწ. III, ნაკვ. I, თბ., 2008.
27. ილია მეორის საშობაო ეპისტოლე - 1989.
28. ილია მეორის 1989 წ. სააღდგომო ეპისტოლე. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=18962&amonaridi=18983
29. ილია მეორის 1990 წ. სააღდგომო ეპისტოლე. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo1990.htm
30. ილია მეორე, 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლე.
31. კერულარიოსი მ. რომისა და ბიზანტიის ურთიერთობანი X-XI საუკუნეებში. http://martlmadidebloba.ge/eklesiis_istoria_66.html
32. კიკნაძე ზ. ქრისტიანული ფასეულობები და ქართული ეროვნული და კულტურული ცნობიერება, ჟურნ. „გული გონიერი“, 2017, # 16.
33. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია: საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში N6 კომუნისტური აგრესიის შესახებ: მომზადებულია თანახმად H. Res. 346 და H. Res. 438: 1954 წლის 31 დეკემბრის წარედგინა წარმომადგენელთა პალატას და გადაცემული იქნა დასაბეჭდად. აშშ-ს წარმომადგენელთა პალატა, 83-ეკონგრესი, მე-2 სხდომა. თბ., 2007.

34. მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 161-162; ასევე, მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბ., 2015.
35. მესამე სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი, თბ., 2003. http://www.cipdd.org/upload/files/datolos2.pdf
36. მიმართვა ვენეციის კომისიას რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ ცვლილებებზე. https://tdi.ge/ge/news/426-mimartva-veneciis-komisias-religiis-tavisuplebastan-dakavshirebit-konstituciur-cvlilebebze
37. მინესაშვილი ს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები. http://gip.ge › wp-content › uploads
38. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, თბ., 2012.
39. მეტრეველი რ. სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვის მაგალითი, თბ., 2014.
40. მუსხელიშვილი დ. სამსონაძე ა. დაუშვილი ა., საქართველოს ისტორია: მთელი ქვეყნის ისტორია ერთ წიგნში, თბ., 2012.
41. ნოდია გ. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, თბ., 2005.
42. პავლიაშვილი ქ. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008.
43. პაპუაშვილი ნ. საბჭოეთი და რელიგია. მოხსენება წაკითხულ იქნა 2018 წლის 8 ივნისს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ გამართულ დისკუსიაზე „საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა“. http://tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia
44. პოკლება ნ. ურთიერთმიმართება სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად, თბ., 2020.
45. პუიგი ჯ.პ. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სიტუაციური ანგარიში. ევროპის ფონდი, 2016, http://bit.ly/2oSAJrU
46. პრეზიდენტის რადიო ინტერვიუდან, 2001 წლის აპრილი.
47. ჟორდანია ნ. ჩემი წარსული, თბ., 1990.
48. რადიო თავისუფლება. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Ffb.watch%2F6tYhfp57SQ%2F%3Ffbclid%3DIwAR3xukLARZ5P2287-BJpQOCInRvfuJX7X76TVusQK86cfkY5YDhiWMqJA5M&h=AT0a0ApkIMmArx6vd7

vXHxKrGZ_lZDpk-BdMBl0SIlpxNv2EeYz7LTxOyOjeLutpMom8xbu259Nhr8vW9EvRHVSDyF2a9uHWCeEBdBrRN9WHSoMeHSiB0zQNKtjQn5o-u3nr
49. როგავა გ. როგორ ებრძოდნენ რელიგიას და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), თბ., 1994.
50. სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები, თბ., 2018.
51. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf
52. სამუშია ჯ. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, ჟურნალი „ისტორიანი“, #89.
53. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf
54. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული.1918-1921, თბ., 1990.
55. საქართველოს ისტორია. XX საუკუნ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003.
56. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. პოლიტიკის დოკუმენტი, 2017. https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2513.pdf
57. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მოქალაქე ზურაბ არეშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=182
58. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), თბ., 2013.
59. საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ქრონოლოგიური კრებული. ტ. 1. 1921-1940 წწ. თბ., 1959.
60. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I. ზვიად გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990-1991), თბ., 2013.
61. http://www.tdi.ge/ge/page/saxelmciposa-da-eklesiis-urtiertgamijvnis-problema-sakartveloshi

62. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება სსმ, 116, 27/11/2002. https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626
63. საშობაო ეპისტოლე, 1998. http://www.sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=17152
64. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა საქართველოში.
65. სილაგაძე ე. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ. ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცი,. თბ., 2014.
66. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. „კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი ანალიზი“. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/კონსტიტუციური_შეთანხმების_სამართლებრივი_ანალიზი.pdf
67. სტალინი ი. თხზულებანი. ტ. 10, თბ., 1950, გვ. 132.
68. სტაინბეკი ჯ. რუსული დღიური. ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანმა. თბ., 2015.
69. ფანჯიკიძე თ. წერილები რელიგიისა და ათეიზმის შესახებ, თბ., 1976.
70. ქართველიშვილი მ. საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში. ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2019.
71. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
72. შუბითიძე ვ. საბა მტბევარის ფენომენი. https://for.ge/view/49382/saba-mtbevaris-fenomeni.html
73. წერეთელი კ. საქართველოს ეკლესიის არუაცხელი ქონება და უკიდეგანო გავლენა. https://nation.ge/index.php?m=5&news_id=11&lng=geo
74. ჭელიძე ვ. ქართლის ცხოვრების ქრონიკები, III-IV, თბ., 1984
75. ხახანაშვილი ა. ქართველ მეფეთა ტიტული, კურთხევა და რეგალიები, ქუთაისი, 1993.
76. ჯანელიძე ო. ქართული იდენტობა და პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი, ჟურნ. „ანალები“, 2015, #11.
77. ჯანელიძე ო. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2002.
78. ჯანელიძე ო. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.
79. ჯანელიძე ო. ეკლესიის ფაქტორი საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში (XX საუკუნის 80-იანი წლები), ჟურნ. „ლოგოსი“, # 7, თბ., 2013.
80. ჯანაშია ს. შრომები, ტ. V, თბ., 1987.
81. ჯანაშია ნ. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986.

82. ჯოხაძე ა. სიკვდილი ბიზანტიურად, წიგნში - საზოგადოება და პოლიტიკა, თბ., 2002.
83. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2012.

ინტერვიუები

1. ინტერვიუ არქიმანდრიტი ზაქარია ძინძიბაძესთან (ჩაწერილია 2021 წელს. ინახება ჩემთან).
2. ინტერვიუ დეკანოზ არჩილ მინდიაშვილთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
3. ინტერვიუ დეკანოზ ელიზბარ ოდიშვილთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
4. ინტერვიუ მიტროპოლიტ იოანესთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
5. ინტერვიუ მეუფე ნიკოლოზთან და მამა ზაქარია ძინძიბაძესთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
6. ინტერვიუ მიტროპლოიტ იოანესთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).
7. ინტერვიუ მიტროპოლიტ დანიელთან (ინტერვიუ ჩაწერილია 2021 წელს, ინახება ჩემთან).

ინტერნეტრესურსები

1. http://www.ambioni.ge/saxelmwifo-da-eklesia
2. https://st4.ning.com/topology/rest/1.0/file/get/2064169817?profile=original
3. https://sangu.edu.ge/ka/article/1917-tslis-12-25-marti-mtskheta-
4. http://www.orthodoxtheology.ge/კათალიკოს-ამბროსი-ხელაია/
5. https://bigenc.ru/religious_studies/text/2282977
6. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=318%3A-ii&catid=47%3A2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka&fbclid=IwAR1wMctO7axbvbwryOpsgccWwX7MbetpNgFJwAwDS9y5IbE4uCnacwTEZLE
7. http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=18486&amonaridi=18491
8. q6mlvTnwjNBxC2vCoEBGePS6KNAZGmD4s9SoLmLwh9QPMaA2ygVWEq-VhpzJAM7OE4H_1hdiVmV1z-aV8s
9. https://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=191&id=43298
10. Eastwood W. Georgian Baptists: Church Reform, Orthodox Christianity, and National Belonging. Doctorate Thesis. Indiana University, 2010, p. 61.

11. Aydıngün A. Ethnifi cation and Nationalization of Religion in Post-SovietGeorgian Nation-State Building Process: Source of Discrimination andMinority Rights Violations? International Journal of Human Rights,17 (7-8), 2013, p.p. 810-828.
12. https://www.youtube.com/watch?v=H33NbNmPV2I
13. https://dcg.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/03/angarishis-sruli-versia.-kvlevis-pirveli-etapi-PDF.pdf
14. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/samoqalaqo%20sazogadoeba,%20eTnikuri%20anklavebi%20da%20moqalaqeobis%20problema%20saqarTveloSi-2007-kar.pdf
15. https://2009-2017.state.gov/documents/organization/132827.pdf